www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 30 აგვისტო, 2012 წელი. | №3100 (193) | ფასი 50 თეთრი

ანტიტერორისტული ოპერაცია ლაფანყურში

"ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ იყვნენ მშვიდად, იმიტომ, რომ დღეს, განსხვავებით ათი წლის წინანდელისგან, საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს შეიარაღებული ძალები, პოლიცია, ხელისუფლება და საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც დაიცავს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას ნებისმიერ პირობებში. ამიტომ, რაც არ უნდა დიდი იყოს პრობლემა ან გამოწვევა, ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ იყვნენ მშვიდად. ქართული სახელმწიფო იცავდა და დაიცავს მათ უსაფრთხოებას", - ასე აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საქართველო-რუსეთის საზღვარზე გუშინ განვითარებულ მოვლენებს.

"საქართველო-რუსეთის საზღვარზე აყვანილი ყველა მძევალი გათავისუფლებულია, ლიკვიდირებულია 11 დივერსანტი," - ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, გუშინ, დღის ბოლოს გავრცელებული ინფორმაციაა. გუშინვე გავრცელებული ინფორმაციით, დევნის ოპერაციისას დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა ხუთი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მუსულმანთა სულიერი ლიდერის მკვლელობა დაღესტანში

ვაჰაბიტთა შურისძიება თუ სპეცსამსახურების მიერ არეულობის პროვოცირების მცდელობა

სალომე ჯანიაშვილი

ამოცნობილია თვითმკვლელი ტერორისტის ვინაობა, რომელმაც თავი აიფეთქა შეიხ საიდ აფანდი აცაევის სახლში, დაღესტნის სოფელ ჩირკეიში. ის ცნობილი იყო, აგრეთვე, საიდ აფანდი ალჩირკავის სახელით. ამის შესახებ ინფორმაციას რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები ავრცელებენ. შეიხი საიდ აფანდი აცაევი იყო მუსულმანების ტრადიციული ფრთის - სუფიების ერთერთი ყველაზე გავლენიანი და პატივცემული სასულიერო ლიდერი დაღესტანსა და მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში.

შეიხი სამშაბათს საღამოს, მზის ჩასვლამდე დაკრძალეს, როგორც ამას ისლამის წესები მოითხოვდა. დაღუპულთან გამოსამშვიდობებლად ათიათასობით ადამიანი მივიდა, მათ შორის იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

დებატები პრემიერობის კანდიდატებისთვის

მაგდა ლეკიაშვილი

"საზოგადოებრივი მაუწყებელი" წინასაარჩევნოდ პარტიების პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებს სადებატოდ იწვევს. "მაუწყებლის" ეთერში სულ ორი დებატი გაიმართება, პირველი - 9 სექტემბერს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პრემიერობის კანდიდატებს, ხოლო მეორე - 18 სექტემბერს ამავე პარტიების სიის პირველ ნომრებს შორის. როგორც "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორი გია ჭანტურია ამბობს, დებატებში მონაწილეობის უფლება ოთხ პარტიას: "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", კოალიცია "ქართულ ოცნებას", "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა" და "ლეიბორისტულ პარტიას" აქვს. დებატების ჩატარებაზე ოფიციალური შეტყობინება პარტიებს გუშინვე გადაეგზავნათ, რომელზე წერილობით დასტურსაც "საზოგადოებრივი მაუწყებელი" 4 სექტემბრამდე დაელოდება.

დებატების მონაწილეებთან წინასწარ შეთანხმებული წესების მიხედვით წარიმართება. ტელედებატების წინა დღეს მონაწილე სუბიექტებს შორის წილისყრა გაიმართება დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის რიგითობის დასადგენად. თითოეულ მონაწილეს ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ ეძლევა ერთი წუთი, რათა ოპონენტის პასუხზე კომენტარი გააკეთოს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი დებატების სხვა რომელიმე მონაწილეს სიტყვას გააწყვეტინებს, მას საკუთარ გამოსვლის დროს ეს დრო დააკლდება. იგივე დრო დაემატება მას, ვისაც სიტყვას გააწყვეტინებენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მიტ რომნი კანდიდატად აირჩიეს, ოფიციალურად ხვალ დაასახელებენ

თამთა კახაძე

გუშინ ფლორიდის შტატში რესპუბლიკური პარტიის ყრილობა დაიწყო, სადაც მასაჩუსეტსის ყოფილმა გუბერნატორმა მიტ რომნიმ ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დასახელებისათვის დელეგატების ხმების საჭირო რაოდენობა მიიღო. ამერიკის პრეზიდენტობისათვის რესპუბლიკელი მიტ რომნი და დემოკრატი, ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა იბძოლებენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა კანდიდატის მეუღლე ენ რომნი

1 აშშ დოლარი	1.6509₾
1 ევრო	2.0682₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6106₾
1 თურქული ლირა	0.9177₾
100 რუსული რუბლი	5.1801₾

თბილისი	32°C - 20°C
ქუთაისი	27°C - 15°C
თელავი	32°C - 12°C
ზუგდიდი	26°C - 13°C
ბათუმი	24°C - 17°C

ნავთობი	3.12	-0.01	-0.28%
გაზი	2.67	+0.04	+1.46%
ოქრო	1,660.90	-8.80	-0.53%
ხორბალი	905.75	+30.25	+3.34%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კოკოშკოვი და ქართული ბრიფინგი

ზურაბ თალაკვაძე

მივედით იგორ კოკოშკოვის ბრიფინგზე. იგორი მშვიდი, გონიერი კაცია. ამერიკული ლიგის მშვიდი და გონიერი მწვრთნელი, რომელმაც ამ ციკლში ერთი თამაში წააგო. სამი მოიგო. საქართველოს ნაკრები ოთხი ტესტის შემდეგ კომფორტულ სიტუაციაშია და თუ ჰოლანდიასთან წაგება ცოტა დაუგეგმავი იყო, ცოტა დაუგეგმავი იყო ბოსნიაში მოგებაც. ლატვიასთან აქ უნდა მოგვეგო და ბაგაცკისის შუთერებს გადავუჯოკრეთ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

(მარცხნიდან) დავით უსტიაშვილი, იგორ კოკოშკოვი და კოტე ტულუში

ბოლოს: ბესიკის ფოტო

BIAFF-ის ოფიციალური პროგრამა ცნობილია

ბათუმის კინოფესტივალის საპატიო სტუმარი ნური ბილჯე ჩეილანი იქნება

ია ვეკუა

ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობით მეორე კინოფორუმი - ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო კინოფესტივალი წელს მეშვიდედ გაიმართება. ფესტივალი 16 სექტემბერს გაიხსნება და 23 სექტემბრამდე გასტანს. ამ დღეების განმავლობაში ფესტივალი სხვადასხვა სექციაში გადანაწილებულ საკონკურსო თუ სპეციალური ჩვენებისთვის განკუთვნილ ფილმებს წარმოადგენს. გუშინ ბათუმში ფესტივალის პროგრამის პრეზენტაცია შედგა, რომელსაც საპატიო სტუმრების ჩამონათვალთან ერთად ქვემოთ გაგაცნობთ.

წლევანდელი ფესტივალი საკმაოდ მრავალფილმიანი გახლავთ. სულ წარმოდგენილი იქნება 40 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი და თითქმის ამდენივე მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარი, რომლებიც პირველობისთვის შესაბამის კონკურსებში იბრძოლებენ. გარდა ამისა, დაგეგმილია მასტერკლასებისა და უორქშოფების სერია, რომლებსაც სპეციალურად მოწვეული სტუმრები ჩაატარებენ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ბათუმის მერმა თანამდებობა დატოვა

ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა. ყოფილი მერის განცხადება გუშინ ქალაქის საკრებულომ კენჭისყრის შედეგად დააკმაყოფილა. საინფორმაციო სააგენტო news.ge-ს ინფორმაციით, ბათუმის მერის მოვალეობას, სავარაუდოდ, ვიცე-მერი ჯემალ ანანიძე შეასრულებს. უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზად არჩევნები სახელდება. რობერტ ჩხაიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

განცხადება

ბოლო პერიოდში მასმედიის, მათ შორის ინტერნეტ ტელევიზიის საშუალებებით გავრცელდა სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების და ჯგუფების განცხადებები, ამ პოლიტიკური გაეთიანებების სასარგებლოდ საქართველოს ვეტერანთა ფედერაციის მხარდაჭერის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვეტერანთა ფედერაცია განმარტავს, რომ საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია წარმოადგენს არაპოლიტიკურ, არაკომერციულ არასამთავრობო გაერთიანებას და გამორიცხავს პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციისა და ჯგუფის სასარგებლოდ, მითუმეტეს წინასაარჩევნო პერიოდში. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაციები არ შეესაბამება რეალობას.

საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია პოლიტიკურ სუბიექტებს მოუწოდებს მომავალში თავი შეიკავონ მსგავსი განცხადებებისგან.

საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია,
საქართველოს ვეტერანთა ომბუდსმენი

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

გამომცემლობა ინტელექტი"ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

მურმან ტურავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მუსულმანთა სულიერი ლიდერის მკვლელობა დაღესტანში

პირველი გვერდიდან

შეიხის მკვლელობასთან დაკავშირებით დაღესტანში ოთხშაბათს გლოვა გამოაცხადეს. საიდ აფანდისთან ერთად დაიღუპა მისი ხუთი მიმდევარი. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების შედეგად ჭრილობები მრავალმა ადამიანმა მიიღო.

დაღესტნის სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, აფეთქება მახაჩყალის მცხოვრებმა, 30 წლის ამინატ ყურბანოვამ (ქალიშვილობის გვარი საპრიკინა) განახორციელა. ის წარმოშობით რუსია. გავრცელებული ინფორმაციით, მან მიიღო მუსულმანობა და იყო და-ძმა ალიევების მეზობელი, რომელთაც მახაჩყალის 2012 წლის 3 მაისს საგზაო პოლიციაზე თავდასხმის დროს ორმაგი აფეთქების ორგანიზატორებად მიიჩნევენ. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყურბანოვა არის სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული მებრძოლის ქვრივი და ის დაკავებული იყო თვითმკვლელი ქალების შერჩევა-გადაბირებით. სამართალდამცავებს ის უკვე საეჭვო პირად მიაჩნდათ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ მახაჩყალის ინციდენტის შემდეგ "ის, შესაძლოა, მომზადებული ყოფილიყო, როგორც ტერორისტი თვითმკვლელი".

ტერაქტი მოხდა სამშაბათს, დაახლოებით, 16:50 საათზე, ყოველდღიური ქადაგების დროს. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმკვლელი მომლოცველის სახით შევიდა შეიხის სახლში, მიუახლოვდა შეიხს და თავი აიფეთქა. თვითმკვლელთან ერთად, ჯამში, კიდევ შვიდი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, 12 წლის ბიჭიც, რომელიც მიღებული ჭრილობებისგან სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა.

საიდ აფანდი იყო ავტორიტეტული მუსულმანი სწავლული, ის მიიჩნეოდა დაღესტნის ერთ-ერთ წამყვან სულიერ ლიდერად. 2007 წელს რესპუბლიკის სპეცსამსახურებმა გამოაცხადეს, რომ აღკვეთეს მისი მკვლელობის მცდელობა. საიდ აფანდი ალ ჩირკავი ღიად გმობდა ვაჰაბიზმს.

ჩრდილოეთ კავკასიაში მუსულმანთა საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარემ ისმაელ ბერდიევმა მოკლული მოიხსენია, როგორც "ყველაზე პატივცემული კაცი მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში". "ის იყო ღვთისმეტყველი, სწავლული, მის მრევლში მოხვედრაზე იღვწოდნენ კავკასიის მთელი რეგიონიდან. ის იყო ძალიან პატივსაცემი და გავლენიანი ადამიანი. ის ასწავლიდა, ამშვიდებდა მორწმუნეებს," - განაცხადა ბერდიევმა. ასევე გავრცელდა ჩეჩნეთის მუსულმანთა ერთ-ერთი სულიერი წინამძღოლის განცხადება, რომლის ვინაობაც არ სახელდება. ის თავის განცხადებაში საუბრობს სულიერი ლიდერის მოკვლის მოტივებზე. "მე ვფიქრობ, რომ ეს ტერაქტი პირდაპირ კავშირშია მის პროფესიულ საქმიანობასთან. შეიხი ცნობილი იყო არამარტო თავისი ღია განცხადებებით, ექსტრემისტული იდეოლოგიების დაგმობით, არამედ იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სახელმწიფოს და რელიგიურ ორგანიზაციებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა. ცხადია, რომ ვაჰაბიტებს ეს პოზიცია არ მოსწონდათ," - განაცხადა ჩეჩნეთის სასულიერო პირმა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ტრადიციული ისლამის მიმდევრებზე რუსეთში არა ერთი თავდასხმა განახორციელეს. ბოლო ასეთი შემთხვევა 19 ივლისს ყაზანში მოხდა, რომლის შედეგადაც დაშავდა თათრეთის მუფტი ილდუს ფაიზოვი, რეგიონის მუსულმანური სასულიერო ადმინისტრაციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი ვალიულა იაკუპოვი კი მოკლეს. 2011 წელს თავად დაღესტანში მოხდა თეოლოგებისა და სასულიერო პირების მთელი რიგი მკვლელობები.

შეიხ საიდ აფანდის მკვლელობამ დაღესტანში, შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს და დაძაბულობა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაზე გავრცელდეს. ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ ექსპერტები და აცხადებენ, რომ ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება ხელისუფლებაზე - თუ როგორ მოიქცევა ის, შეძლებს თუ არა შეტაკებების თავიდან აცილებას.

თავიანთი სულიერი ლიდერის მკვლელობის გამო, ბევრი მისი მიმდევარი შურისძიებას გადაწყვეტს და ხელისუფლება ამისთვის მზად უნდა იყოს. ამის შესახებ განცხადება გააკეთა მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტმა ალექსეი მალაშენკომ. მან ხაზი გაუსვა, რომ დაღესტანი არის უმსხვილესი რესპუბლიკა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიტომ დესტაბილიზაცია, შესაძლოა, მთელ რეგიონს მოედოს. ასეთ შეშფოთებას იზიარებს პოლიტოლოგი ვლადიმერ ნოვიკოვიც. "არსებობს ასეთი ცნება: "მტკივნეული წერტილები" ან "განსაკუთრებული წერტილები". კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ "განსაკუთრებულ წერტილს" რუსეთში, არასტაბილურს. და ის, რომ ასეთი დესტაბილიზაცია ხდება ზუსტად ასეთ დროს და ზუსტად პრობლემურ რეგიონებში, როგორებიცაა ინგუშეთი და დაღესტანი - ამას შეუძლია, საკმაოდ მოკლევადიან პერსექტივებში სერიოზული შედეგები გამოიწვიოს," - განაცხადა მან რადიოში საუბრისას.

საიდ აფანდის მკვლელობაში უმრავლესობა ვაჰაბიტებს ადანაშაულებს. მაგრამ რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარის ჰეიდარ ჯემალის განცხადებით: "ბოლო დროს სუფიებმა და სალაფიტებმა დააახლოვეს პოზიციები, მათ შორის მიღწეულ იქნა გარკვეული შეთანხმებები. რადიკალებს საიდ აფანდის მოშორების სურვილი რომ ჰქონოდათ, ამას ადრე გააკეთებდნენ". ამასთან დაკავშირებით ჯემალი არ გამორიცხავს, რომ შეიხის მკვლელობა, შესაძლოა, იყოს პროვოკაცია ძალოვანი სტრუქტურების ან იმ არაბული ექსტრემისტული ძალების მხრიდან, ვისაც უნდათ ჩრდილოეთ კავკასია რუსეთს მოგლიჯონ.

საიდ აფანდის მკვლელობა, საგამოძიებო კომიტეტის თანახმად, შეფასდა არა როგორც "ტერაქტი", არამედ "მკვლელობა". ამ ფაქტზე საქმე აღიძრა, "მკვლელობის", "იარაღის უკანონო ბრუნვის", "იარაღის უკანონო გამოყენებისა" და "განზრახ მძიმე დაზიანებების მიყენების" ბრალდებით.

დებატები პრემიერობის კანდიდატებისთვის

პირველი გვერდიდან

ჭანტურიას თქმით, დებატების მონაწილეები შეკითხვებს ერთი საათით ადრე გაეცნობიან და მოსამზადებლად დროც დარჩებათ. წამყვანთან ერთად სტუდიაში პრემიერობის კანდიდატები და სიის პირველი ნომრები მარტო, თანმხლები პირების გარეშე იქნებიან. დებატებს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტი ეკა მიშველაძე წაიყვანს.

თითოეული მონაწილის შესავალი სიტყვისა და დასკვნითი გამოსვლების რიგითობა კენჭისყრით გადაწყდება. მისასალმებელი სიტყვისთვის მონაწილეებს აქვთ 2-2 წუთი. ორი წუთია განსაზღვრული ასევე კითხვებზე პასუხის გასაცემად. პირველ შეკითხვას პასუხობს წილისყრით მეორე ნომერი, მეორე შეკითხვას - მესამე და ა.შ

კითხვები დებატებისთვის სპეციალური წესით შეირჩევა, მათ საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგად მოსახლეობის მიერ ყველაზე აქტუალურად მიჩნეულ თემატიკიდან ამოარჩევენ. ამასთან, სპეციალურ მისამართზე - debatebi@gpb.ge - კითხვების გაგზავნა მედიის წარმომადგენლებს შეეძლებათ. დებატებისას სულ სამ შეკითხვას დასვამენ.

"ერთ კონკრეტულ კანდიდატზე გათვლილი კითხვები არ გამოგვადგება. კითხვები იქნება ისეთი, რომ ყველა კანდიდატმა თანაბარ პირობებში შეძლოს პასუხის გაცემა. პრიორიტეტი მიენიჭება იმ თემატიკას, რომელიც ბოლო ორი თვის მანძილზე გამოკითხვების მიხედვით ყველაზე აქტუალურია. კითხვების ფორმულირებას ჟურნალისტების მიერ გამოგზავნილი შეკითხვებიდან ავიღებთ. კითხვა უნდა იყოს ნეიტრალური ყველა მონაწილისთვის, ხოლო თემატიკა - პრობლემატური", - ამბობს გია ჭანტურია. მისივე თქმით, ზუსტი დრო, თუ რომელ საათზე იქნება დებატები, გადაწყვეტილი არ არის, თუმცა ის აუცილებლად პიკის საათში ჩაჯდება. დებატების ხანგრძლივობა, მაქსიმუმ, საათ-ნახევარი იქნება. ჭანტურია იმედოვნებს, რომ დებატებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები, დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დებატებს დათანხმდებიან და ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემენ.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სატელევიზიო დებატებში მონაწილეობას დათანხმდა. პარტიის სპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილი ამბობს, რომ მისი გუნდის მიზანია, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გაიმარჯვონ. სწორედ ამიტომ მმართველმა გუნდმა პოლიტიკური ოპონენტები წინასაარჩევნო დებატებში გამოიწვია, რომელიც მოქალაქეების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას უზრუნველყოფს. თაქთაქიშვილის თქმით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" დებატებში მონაწილეობას პრემიერობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი და საპარლამენტო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე მიიღებენ.

"მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია სამართლიანი არჩევნების ჩატარება, პასუხისმგებლობით მოეკიდონ "მაუწყებლის" შემოთავაზებას და დააკმაყოფილონ საზოგადოების ფართო ინტერესი პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით",- ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი. მისივე განცხადებით, მხარეებს საშუალება ექნებათ, მოსახლეობას საკუთარი პროგრამა წარუდგინონ და დაარწმუნონ იმაში, თუ რატომ უნდა მისცენ მათ ხმა.

კოალიცია "ქართული ოცნება" "საზოგადოებრივი მაუწყებლისგან" დებატებში მონაწილეობის შეთავაზებას ოფიციალური წერილით ელოდება. "ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ წერილის კარგად გაცნობის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ჩაერთვებიან თუ არა წინასაარჩევნო პოლიტიკურ დებატებში. ფანჯიკიძე ამბობს, რომ საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი კოალიციისა და მისი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება დებატებში მონაწილეობაზე. ძირეული ცვლილებები კი ამ მხრივ არ იგეგმება. ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ის "ლეიბორისტებთან," "ქრისტიან-დემოკრატებთან" და "ახალ მემარჯვენეებთან" დებატებში მხოლოდ მას შემდეგ დაჯდება, რაც ისინი აღიარებენ, რომ ხელისუფლებასთან შეკრულები არიან და მათ ინტერესებს გამოხატავენ. რაც შეეხება "ნაციონალურ მოძრაობას", ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის დებატებში პარტიის ლიდერს - მიხეილ სააკაშვილს იწვევს, თუმცა პარტიის სხვა წევრებთან სადებატოდ დაჯდომაზეც არ უთქვამს უარი.

დებატებში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე განაცხადეს "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაშიც". პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ მისი გუნდი მსგავს დებატებში 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს ერთხელ უკვე მონაწილეობდა. ვეფხვაძის თქმით, სწორედ დებატები უწყობს ხელს მოქალაქეების მხრიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

"დებატები არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იმისთვის, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რას უჭერენ მხარს. ასევე, თვალნათლივ დაინახონ სხვაობა კონკრეტული პოლიტიკური ლიდერების კონკრეტულ პროგრამებს შორის. ჩვენ ამაში მივიღებთ მონაწილეობას, რადან დებატები, პირველ რიგშ,ი ამომრჩევლისთვის იქნება სასარგებლო", - ამბობს "24 საათთან" საუბარში ლევან ვეფხვაძე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ანტიტერორისტული ოპერაცია ლაფანყურში

პირველი გვერდიდან

ლოპოტას ხეობაში, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში მიმდინარე მოვლენების შესახებ ჯერ კიდევ გუშინწინ, გვიან ღამით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე, შეიარაღებულმა ჯგუფმა რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები გაიტაცა. გუშინ დილითვე ცნობილი გახდა, რომ დაღესტნის მონაკვეთთან, მძევალების გასათავისუფლებლად, შეიარაღებული ჯგუფის დევნის ოპერაცია მიმდინარეობდა. თელავში, კახეთის სამხარეო პოლიციის შენობაში საგანგებო თათბირი ჩატარდა. თათბირს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა და მას შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრები ესწრებოდნენ. მათ ვანო მერაბიშვილს საქართველო-რუსეთის საზღვართან მიმდინარე დევნის ოპერაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და მისგან სპეციალური დავალებები მიიღეს. **"საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ზომა მიღებულია. შსს-ს ქვედანაყოფებს ლოპოტას ხეობა ბლოკირებული აქვთ. მიმდინარეობს ანტიტერორისტული ოპერაცია შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, შექმნილია კრიზისების მართვის შტაბი, რომელშიც შედის შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროები. შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სოფელ ლაფანყურში მიმდინარე სპეცოპერაცია მძევალთა ჯგუფის გათავისუფლებას უკავშირდება,"** - ასეთი იყო ოფიციალური ინფორმაცია.

მთელი დღის განმავლობაში, ქართული მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა ცნობები დამატებითი სამხედრო ძალების, პოლიციელების დამატებითი ქვედანაყოფების, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კატასტროფის ბრიგადების სოფელ ლაფანყურში შესვლა-გამოსვლის თაობაზე. თუმცა, ზუსტი მონაცემები დაჭრილებისა და დაღუპულების შესახებ, კარგა ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო. ცნობილი გახდა ისიც, რომ დაღესტნიდან საქართველოში გადმოსულ შეიარაღებულ ჯგუფს ცეცხლის გახსნამდე, ქართველმა სამართალდამცველებმა რამდენჯერმე დანებება შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. რამდენიმე საათის განმავლობაში მდგომარეობა უცვლელი იყო და არანაირი ოფიციალური კომენტარი არ კეთდებოდა.

მას შემდეგ, რაც, თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ტერიტორიაზე სამხედრო ვერტმფრენი დაჯდა და უსაფრთხოების მიზნით, საავადმყოფოში შესვლა-გასვლა აიკრძალა და იქ დაცვა გაძლიერდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, შეიარაღებული დაჯგუფების მიმართ განხორციელებული დევნის ოპერაციისას დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა 5. რაც შეეხება დივერსანტთა ჯგუფს, შსს-ს ინფორმაციით, ლიკვიდირებული იყო შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი.

"ამჟამად ალყაშია მოქცეული 6 დივერსანტი. მიმდინარეობს მათი დაკავების ღონისძიება," - ასეთი იყო შსს-ს ოფიციალური განცხადება.

სამართალდამცველებმა ასევე გაავრცელეს დევნის ოპერაციისას გათავისუფლებულების ჩვენებები, რომლებიც, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან გადმოსულ დივერსანტთა ჯგუფს ჰყავდა მძევლად. როგორც ტყვეობიდან გათავისუფლებულები აცხადებენ, ისინი შეიარაღებულმა პირებმა დაატყვევეს. შეიარაღებული დივერსანტები მათ, წინააღმდეგობის გაწევის ან გაქცევის შემთხვევაში, მოკვლით ემუქრებოდნენ.

ტყვეობიდან გათავისუფლებულების ინფორმაციით, გამტაცებლები 15-ზე მეტნი იყვნენ. **"ბუნებაში ვიმყოფებოდით საქეიფოდ მეგობრები, უკან რომ ვბრუნდებოდით, მოვყვებოდით მდინარის პირს, შეგვხვდა რამდენიმე ადამიანი, ავტომატით შეიარაღებული, გვითხრეს, რომ ვიყავით მძევლები და უნდა წავსულიყავით მათთან ერთად. მათთან ყოფნის დროს მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ თუ გაქცევას შევეცდებოდით, მოგვკლავდნენ,"** - ასეთია ყოფილი მძევლების ჩვენებების შინაარსი. მათი განმარტებითვე, გამტაცებლებს "დიდძალი შეიარაღება ჰქონდათ".

დღის განმავლობაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გარდა გათავისუფლებული მძევალებისა, დივერსანტებს კიდევ ორი ჯგუფი ჰყავდათ დატყვევებული და ანტიტერორისტული ოპერაცია სწორედ მათი გათავისუფლების მიზნით გრძელდებოდა.

საღამოს საათებში, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაღუპულთა გვარები გამოაქვეყნეს. სამინისტროების მონაცემებით, გარდაცვლილები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი. გარდაცვლილია ასევე, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ექიმი, კაპრალი ვლადიმერ ხვედელიძე.

იმ დროს, როდესაც ლოპოტას ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდებოდა და ქართველი სამართალდამცველებს არ ჰქონდათ ნათქვამი, კონკრეტულად რომელი დაჯგუფება იყო საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული, რუსულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე გადასული ე.წ. ცუნტინის ბანდფორმირების ლიკვიდაცია. რუსული მედიის ცნობით, დაჯგუფება საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე დღის წინ გადავიდა და მის შემადგენლობაში 20-მდე ბოევიკი იყო.

"შეიარაღებული დაჯგუფება, რომლის წინააღმდეგ ქართველი სამართალდამცველები ოპერაციას ატარებენ, დაღესტნელ სამართალდამცავებს გაექცნენ," - ეს ინფორმაცია "რია ნოვოსტიმ" დაღესტნის სამართალდამცავი ორგანოების წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა.

"ისინი ცუნტინის ბანდიტური დაჯგუფების წევრები არიან და საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლით დაღესტნელ სამართალდამცავებს ემალებიან. თუ ისინი უკან დაბრუნებას მოინდომებენ, ჩვენ მათ აქ დავხვდებით", - განუცხადეს "ინტერფაქსს" დაღესტნელმა სამართალდამცველებმა

დღის ბოლოს რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში განაცხადეს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში რუსეთ-საქართველოს საზღვრის დარღვევის შემთხვევები არც ერთი მხრიდან არ დაფიქსირებულა. **"თბილისში დრო და დრო აკეთებენ პროვოკაციულ განცხადებებს, რომლებიც კიდევ უფრო ამძაფრებს ისედაც არცთუ უბრალო სიტუაციას რუსეთ-საქართველოს საზღვარზე,"** - განუცხადეს "ინტერფაქსს" რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში.

რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს რუსული სამხედრო შენაერთების მობილიზებასა და დაღესტნის მთიან რეგიონებში რუსული სამხედრო ტექნიკის შეყვანაზე, ჩეჩნური, აზერბაიჯანული და დაღესტნური ოპოზიციური ინტერნეტგამოცემები ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ალაპარაკდნენ.

"დაღესტანში, რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს რუსული სამხედრო შენაერთების მობილიზაციაა. გამოჩნდნენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმებიც, რომლებიც სპეცოპერაციისთვის ემზადებიან. დაღესტნის ტერიტორიაზე ოპერატიული სამზადისი ჯერ კიდევ 20 აგვისტოს დაიწყო. რუსი სამხედროები ცუმადინსკის რაიონში კატასტროფის მედიცინის ჰოსპიტალს აწყობენ. ჰოსპიტალს, დღე-ღამის განმავლობაში 300-მდე დაჭრილის მიღება შეუძლია. ასევე ცნობილია, რომ დაღესტანში სამხედრო სწავლება კავკაზ 2012-ის მოსამზადებელი თათბირი ჩატარდა," - ასეთი იყო ინტერნეტგამოცემა "ჩეჩენ-ნიუსის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ინტერნეტგამოცემის მტკიცებით, სამხედრო ძალებს ფსბ-ს სასაზღვრო სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ სტრეხასი ხელმძღვანელობს. გამოცემის მონაცემებით, ჰოსპიტალს აწყობენ ცუმადინსკის და ტლიარატინსკის რაიონებსა და ბეჟტინსკის მონაკვეთებზე. ყველა ეს რაიონი საქართველოს ესაზღვრება.

ინტერნეტგამოცემა chechenia.info ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ წერდა, რომ უახლოეს ხანებში საქართველოს საზღვრისპირა რაიონები, შესაძლოა, გამოყენებულ ყოფილიყო მასშტაბური სამხედრო ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანი ჯერჯერობით უცნობია. **"შესაძლოა, ეს კავკასიაში მოსალოდნელი წვრთნებისთვის განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოებია ან დაღესტნის ტყეებში დაბანაკებულ "ბოევიკთა" გასანადგურებლად მიმართული აქცია, ანდა, საქართველოში შესაჭრელად მიმდინარე მზადება. ფაქტია, რომ სამხედრო ღონისძიებების ჩასატარებლად შეირჩა ცუნტინის რაიონი, ადგილი, საიდანაც საქართველოს გავლით სომხეთი ყველაზე ახლოსაა,"** - წერდა "ჩეჩენ-ინფო".

გამოცემის მონაცემებითვე, მთლიანობაში, 16 აგვისტოდან, დღემდე, დაღესტნის საზღვრისპირა რეგიონში თავმოყრილია 300 ერთეული ჯავშანტექნიკა და 2500-მდე სამხედრო მოსამსახურე.

აზერბაიჯანული ინტერნეტგამოცემა contact.az-ის ინფორმაციით კი, ბოლო დღეებში დაღესტნის მთიან რაიონებში რუსული საჯარისო დანაყოფების კონცენტრაციასთან დაკავშირებით, ადგილობრივ მცხოვრებლებში გავრცელდა ხმა, რომ ტარდებოდა ამ რაიონების ტყის მასივების ბლოკირება, რათა შემდეგ მომხდარიყო იქ დაბანაკებული მოჯაჰედების ბაზების განადგურება.

დაღესტნური ინტერნეტსაიტის vdagestan.com-ის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა მოახდინეს დაღესტნის დიდიეთის რაიონის სოფლების ბლოკირება და გაჩხრიკეს ადგილობრივთა სახლები. ამავე გამოცემის ინფორმაციით, რუსი სამხედროები ადგილობრივებს ეუბნებიან, რომ დიდი რაოდენობის სამხედრო ძალის მობილიზება იმისთვის არის საჭირო, რომ "დაღესტნელები ქართველებისგან დაიცვან".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ოპერაცია ლოპოტას ხეობაში გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

რუსეთ-საქართველოს საზღვართან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გააკეთა ქვეყნის პირველმა მიხეილ სააკაშვილმა და განაცხადა, რომ მომხდარი, საქართველოს უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს საფრთხეს ვერ შეუქმნის. მიხეილ სააკაშვილმა ჩრდილოკავკასიელი მეზობლები ძმებად მოიხსენია და მიმართა, არ გამოაყენებინონ ვინმეს თავი პროვოკაციის ბრმა იარაღად.

"საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული პირების თარეშს არ დავუშვებთ. შეიარაღებული რაზმის წევრთა უმეტესობა განადგურებულია. 90-იან წლებშიც გვქონდა შემთხვევა, როცა ჩვენ მეზობელ ქვეყანაში იყო არეულობა და მან მოახდინა თავისი არეულობის ექსპორტი ჩვენს ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა ცნობილი მოვლენები აფხაზეთში, ცხინვალში, პანკისის ხეობაში. მთებს იქით ჯერაც არის დიდი არეულობა, აქეთ კი დიდი აღმშენებლობა და განვითარებაა. ქართული სახელმწიფო დღეს არ დაუშვებს, რომ მეზობლის ტერიტორიაზე არსებული ძალადობა და არასტაბილურობა გადმოედოს და საფრთხე შეუქმნას ჩვენს მოქალაქეებს და ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას. არეულობა იმ ქედს მიღმა დარჩება და აქეთ ვერ გადმოვა. რაც შეეხება მათ, ვინც ჩვენი სპეცრაზმელების მკვლელობა ჩაიდინა, ისინი პასუხს ბოლომდე აგებენ და მათი მოქმედებები ყველა მეთოდის გამოყენებით ბოლომდე იქნება აღკვეთილი. ყველა ზომას მივიღებთ, რომ მომავალში ვინმემ მსგავსი რამ არ სცადოს. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან კარგი გაკვეთილი", - განაცხადა პრეზიდენტმა.

უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას განმარტებით, ჩრდილოკავკასიის რეგიონში არსებული უმძიმესი მდგომარეობა საქართველოსთან კავშირში რომ არის, ბოლო მოვლენებიც ადასტურებს. გიგა ბოკერიას თქმითვე, ქვეყნის ხელისუფლებამ ინფორმაცია ოპერაციის დაწყებისთანავე მოაწოდა სტრატეგიულ პარტნიორებს.

"საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე არ ემუქრება, ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაცია რუსეთის ფედერაციისთვის ვერანაირად ვერ გახდება საბაბი საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს რაიმე სახის ქმედება," - განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

წვიმამ ქუთაისს პრობლემები შეუქმნა

ქუთაისში მოსული ნალექის შედეგად, ცენტრალურ მოედანზე მანქანების სავალი ნაწილი წყლით დაიტბორა. მიზეზად კი გაუმართავი სანიაღვრე სისტემა სახელდება. ადგილზე გუშინ შესაბამისი სამსახური მუშაობდა, რომელთა განცხადებით, ქალაქის ახლადრეაბილიტირებული ნაწილის დატბორვა სანიაღვრე სისტემის გაჭედვამ გამოიწვია. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, რომ სანიაღვრე სიტემის მოწესრიგების კუთხით მერია სამუშაოებს აწარმოებს. სამსახურის უფროსის ლევან ჭანჭალეიშვილის ინფორმაციით, ამ მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობა 2 მილიონამდე ლარს დახარჯავს. ჭანჭალეიშვილის მტკიცებით, შესრულებული სამუშაოების შედეგად, სანიაღვრე სისტემის გაუმართაობით შექმნილი პრობლემა წლის ბოლოსთვის ქუთაისის ნაწილს აღარ შეაწუხებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ქალაქში მოსული უხვი ნალექის შედეგად, ქუჩების გარდა, საცხოვრებელი სახლებიც დაიტბორა.

მმართველმა გუნდმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უარი თქვა

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" "2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ" მემორანდუმს შეუერთდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმეტს ხელი პარტიის წარმომადგენელმა აკაკი მა მოაწერა. მისი თქმით, "ნაციონალების" მიზანი თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გამარჯვებაა. მინაშვილს განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობა" მზადაა ცესკოსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მიუკერძოებელ სადამკვირვებლო მისიებთან თანამშრომლობისთვის, რათა საარჩევნო პროცესის დროს დაფიქსირებული ნებისმიერი ხარვეზი აღმოიფხვრას.

"კიდევ ერთხელ მინდა, გავუსვა ხაზი, რომ ჩვენი, როგორც პარტიის, მიზანი, დემოკრატიის უფრო განვითარება და მისი ხელშეწყობაა. ეს არჩევნები იქნება სამართლიანი და თავისუფალი და ამას მთელი საზოგადოება ძალიან კარგად დაინახავს", - ამბობს მინაშვილი.

მემორანდუმში ფორმულირებულია საარჩევნო კოდექსის ის ნაწილები, რომლებითაც მასზე ხელმომწერები საარჩევნო კამპანიის წარმოებისას სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე უარს ამბობენ. მემორანდუმი არჩევნებში ყველა პარტიისთვის თანაბარი გარანტიების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. დოკუმენტს უკვე მოაწერეს ხელი უწყებათაშორისმა კომისიამ, შვიდმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და "მერაბ კოსტავას საზოგადოებამ".

ცესკო პარტიებს საარჩევნო ვადებს ახსენებს

"საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებს შეახსენებს, რომ პარტიული სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების, აგრეთვე თანდართული დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის ვადა იწურება 2012 წლის პირველ სექტემბერს," - ამის შესახებ ცესკო-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. ცესკო საარჩევნო სუბიექტებს მოუწოდებს, დროულად დაიჭირონ თადარიგი ყველა საჭირო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროცედურულ ვადებთან დაკავშირებული გაუგებრობები.

"ლეიბორისტები" მმართველ გუნდსა და "ქართულ ოცნებას" ადანაშაულებენ

"ლეიბორისტები" "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და კოალიცია "ქართულ ოცნებას" "ლეიბორისტული პარტიის" საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლასა და მოქრთამვაში ადანაშაულებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით პარტიაში გუშინ განცხადება გაავრცელეს.

"2012 წლის 1-ელ ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში მმართველი "ნაცმოძრაობა" და "ოლიგარქის ოცნება" არჩევნების გაყალბების მიზნით ზეწოლითა და მოქრთამვით ცდილობენ ჩვენ მიერ დანიშნული საარჩევნო კომისიის წევრებისა და მეთვალყურეების გადაბირებას, რის გამოც ჩვენ გავანთავისუფლეთ წალკისა და ყვარლის საარჩევნო კომისიის წევრები", - ნათქვამია განცხადებაში.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, "ლეიბორისტები" აცხადებენ, რომ საარჩევნო მოქრთამვა-გადაბირების თავიდან აცილების მიზნით, "ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო, რომელსაც ხელს პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ანერს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიის დანიშნულ კომისიის წევრებს (მეთვალყურეებს) ეკრძალებათ "ნაცურიოცნების" წევრებთან გარიგებითი, ძმაბიჭურ-სუფრული ურთიერთობა; ფარულ-გარიგებით ურთიერთობაში შესული პარტიიდან დანიშნული კომისიის წევრები (მეთვალყურეები) დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნებიან კომისიებიდან. მათი ვინაობა კი საჯარო იქნება.

კახა კუკავამ მაჟორიტარები წარადგინა

"თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა კახა კუკავამ დღეს მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ცნობით, მცხეთაში მაჟორიტარობის კანდიდატი - ქეთი ბექაური, თიანეთში - დავით ცალხელაშვილი, დუშეთში - ალექსი კობაიძე, ყაზბეგში კი ზვიად ჩიტიშვილი იქნება. რაჭა-ლეჩხუმშის რეგიონში კი კუკავამ მაჟორიტარობის კანდიდატებად ონში - ბერიკა მაისურაძე, ამბროლაურში - გუგა სამხარაძე, ცაგერში - როსტომ თვარაძე, ლენტეხში კი ამირან გარდაფხაძე წარადგინა. კუკავა აცხადებს, რომ "თავისუფალი საქართველო" 1-ელი ოქტომბრის არჩევნებში ხელისუფლების დამარცხების ერთადერთ წინაპირობად ოპოზიციის კოორდინაციას მიიჩნევს. ამ მიზნით, პარტიამ მთაწმინდის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი არ წარადგინა და მხარი დაუჭირა "ქართული ოცნების"კანდიდატს ზაზა პაპუაშვილს.

ჩრდილოეთ კორეა და იაპონია მოლაპარაკებებს გამართავენ

ოთხი წლის განმავლობაში პირველად იაპონიისა და ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური პირები პირდაპირ მოლაპარაკებებს გამართავენ. შეხვედრა, რომელიც ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გამართება, სულ მცირე, ერთ დღეს გასტანს. იაპონური მედიის ცნობით, მხარეებს საუბარი ექნებათ იმ იაპონელთა ნეშტის გადასვენებაზე, რომლებიც კორეის ნახევარკუნძულზე მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპნენ. როგორც აღნიშნავენ, საუბარი, შესაძლოა, იმ იაპონელებსაც შეეხოს, რომელებიც ფხენიანმა 1970-80-იან წლებში გაიტაცა. ჩრდილოეთ კორეამ ხუთი გატაცებული უკან დააბრუნა და განაცხადა, რომ დანარჩენები გარდაცვლილები არიან, თუმცა იაპონია დამატებით ინფორმაციას ითხოვს.

სამხედროების ჯგუფი ობამაზე თავდასხმას გეგმავდა

Detroit Free Press-ის ცნობით, ოთხ ამერიკელ სამხედროს ბრალი სახელმწიფო გადატრიალებასა და პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე თავდასხმის მომზადებაში ედება. პროკურატურის ცნობით, მათ იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები შეიძინეს და რამდენიმე სტრატეგიული ობიექტის ხელში ჩაგდებას და მოგვიანებით ობამას მკვლელობას გეგმავდნენ. ბოროტმოქმედებს, რომელიც ყოფილი და მოქმედი სამხედროები არიან, რადიკალური ორგანიზაცია ჰქონდათ შექმნილი. გასული წლის დეკემბერში ამ დაჯგუფებამ, ისააკ აგიგის ხელმძღვანელობით, საკუთარი წევრი - 19 წლის მაიკლ რორკა და მისი შეყვარებული მოკლა. მათ შეეშინდათ, რომ რორკას დემობილიზაციის შემდეგ, შესაძლოა, ხელისუფლებისათვის მათი გეგმების შესახებ ეცნობებინა. ამ დროისათვის შეთქმულების მონაწილეები დაკავებულები არიან. ხელისუფლება აგრძელებს ჯგუფის სხვა სავარაუდო წევრების ძენას.

"ისააკმა" ლუიზიანას სანაპირო ზოლი დაფარა

ტროპიკულმა შტორმმა "ისააკმა", რომელსაც პირველი კატაგორიის ქარიშხლის კვალიფიკაცია მიენიჭა, ამერიკის შტატ ლუიზიანას სამხრეთ-აღმოსავლეთი მოიცვა. "ისააკი" ამ დროისათვის გრიგალ "კატრინას" (ის ამერიკას 7 წლის წინ დაატყდა თავს) ტრაექტორიას იმეორებს, თუმცა ამ დროისათვის მას სიძლიერით ჩამორჩება. მეტეოროლოგების ცნობით, ქარის სიჩქარე საათში დაახლოებით 120 კილომეტრია, მაშინ, როდესაც 2005 წელს ქარიშხალის სიმძლავრე 280 კმ/სთ იყო.

ხელისუფლებამ ლუიზიანასა და მისისიპიში მექსიკის ყურის ნაპირებთან მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ უკვე გამოაცხადა. ცნობილი გახდა, რომ ამ დროისათვის საკუთარი სახლი 10 000-მა ადამიანმა დატოვა. სტიქია მეზობელ შტატებშიც იგრძნობა. უამინდობის გამო ფლორიდაში რესპუბლიკელთა პარტიის ყრილობა ერთი დღით გვიან დაიწყო.

დაღესტანში მესაზღვრეების მკვლელი ვაჰაბიტი აღმოჩნდა

სერჟანტი რამაზან ალიევი, რომელმაც დაღესტანში შვიდი ადამინი მოკლა და თავად საპასუხო სროლის დროს დაიღუპა, ვაჰაბიტი აღმოჩნდა. რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტს ალიევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ორი ან მეტი ადამიანის მკვლელობის მუხლით აქვს აღძრული. ინციდენტი ბელიჯის დასახლებასთან ახლოს მოხდა. გამოძიების თანახმად, 28 აგვისტოს, 16:00 საათისათვის ალიევი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მივიდა და სროლა დაიწყო, რასაც ორი ადამიანი ემსხვერპლა; დაშავდა ორი კაცი. იქ მან 30 გასროლა განახორციელა. ამის შემდეგ ის ყაზარმაში შევიდა, სადაც უწესრიგო სროლის დროს ხუთი ადამიანი მოკლა; დაიჭრა 4 კაცი. პოლიციამ ალიევს საპასუხო ცეცხლი გაუსხნა და მოკლა. დაშავებულები დერბენტის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოძიება გრძელდება.

ცნობილი გახდა რიაზანის ჩხუბის დეტალები

ცოტა ხნის წინ რიაზანში ტაქსისტებსა და კავკასიელებს შორის მომხდარი ჩხუბის დეტალები გახდა ცნობილი. როგორც აცხადებენ, აგვისტოს შუა რიცხვებში სასტიკად სცემეს ტაქსისტი, რადგან იგი იმ გოგონას გამოესარჩლა, რომელსაც კავკასიელები ეჩხუბებოდნენ. მომდევნო დღეს ტაქისისტებმა ინციდენტის გამოძიების მოთხოვით მიტინგი გამართეს. პოლიციამ თავიდანვე უარყო ჩხუბის მიზეზად ეროვნებათაშორის დაპირისპირება. თავად ტაქსისტმა სერგეიმ (გვარი არ დაასახელა) "კომსომოლსკაია პრავდას" მომხდარის დეტალები უამბო. მისი თქმით, როდესაც ქუჩაში დაინახა, როგორ ეჩხუბებოდა სამი კავკასიელი გოგონას, მივიდა და ზრდილობიანად იკითხა, რა ხდებოდა, რაზეც გოგონას უხეში პასუხი მიიღო. ამის შემდეგ კი კავკასილებმა მას ფეხებით ცემა დაუწყეს. სერგეის დასახმარებლად სხვა ტაქსისტები მივიდნენ, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, ერთ ტაქსისტზე სამი ადამიანი მოდიოდა. ჩხუბის დროს მან გონება დაკარგა.

მას შემდეგ, რაც დაზარალებული ტაქსისტები მიხვდნენ, რომ პოლიცია ჩხუბით დაინტერესებას არ აპირებდა, მეორე დღეს მიტიგნი გამართეს. მათი მოთხოვა მომხდარის გამოძიება იყო. როგორც რიაზანის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვლადიმერ გოლევმა განაცხადა, ამ ისტორიის შესახებ მალევე დაივიწყეს, ვინაიდან კონფლიქტი აღმოფხვრილი იყო. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის ცნობით, ტაქსისტებს თავდასხმაში ის გოგონა სდებს ბრალს, რომელსაც სერგეი გამოესარჩლა. როგორც პოლიციაში აცხადებენ, ინციდენტის გამოძიება გრძელდება. ასევე, პოლიციის ცნობით, ქალაქში ეროვნულ ნიადაგზე არავითარი დაპირისპირება არ არსებობს.

მოამზადა თამთა კახაძემ

მიტ რომნი კანდიდატად აირჩიეს, ოფიციალურად ხვალ დაასახელებენ

პირველი გვერდიდან

უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, ამ დროისათვის არც ერთი მათგანს არ აქვს გადამწყვეტი უპირატესობა.

რესპუბლიკელთა ყრილობაზე, რომელიც ქარიშხალ "ისააკის" გამო ერთი დღით გვიან გაიმართა, რომნის 1144 დელეგატის ხმა უნდა შეეგროვებინა. მას ხმა ყრილობის 2061-მა მონაწილემ მისცა. კონგრესმენი პოლ რაიანი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად ერთხმად დასახელდა.

თავად რომნი კენჭისყრის დროს დარბაზში არ იმყოფებოდა. ის ყრილობის მსვლელობას თვალს ახლოს მდებარე სასტუმროში მეუღლესთან ერთად ადევნებდა. თუმცა, მოგვიანებით ანა რომნი დელეგატების წინაშე სიტყვით გამოვიდა, სადაც ამერიკელ ხალხს მისი მეუღლის ნდობისაკენ მოუწოდა: "მას უყვარს ამერიკა და ის ჩვენ უკეთეს ადგილზე მიგვიყვანს," - აღნიშნა ანა რომნიმ.

ყრილობაზე რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელმა რეინს პრებუსმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის კიდევ ერთი ვადით მოსვლა "ამერიკის მარცხის კიდევ ოთხ წელს" ნიშნავს: "ამერიკას სჭირდება პრეზიდენტი ნამდვილ ეკონომიკაში ნამდვილი გამოცდილებით."

"ამერიკელი ხალხი კვლავ კითხულობს - სად არის სამსახური? რაზეც პრეზიდენტი ობამა, პასუხის ნაცვლად, ბოდიშს იხდის. ჩვენ უკეთესად გავაკეთებთ ამ ყველაფერს. თუმცა, პირველ რიგში, ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოვახერხოთ, რომელიც ყველაფერს წარუძღვება," - განაცხადა ყრილობაზე წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯო ბონერმა.

"ის ძალიან მორცხვი ადამიანია და არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. თუმცა მე რომნის დიდი ხანია ვიცნობ. ის პატიოსანი, წესიერი და მშრომელი კაცია," - აღნიშნა ბონერმა ცოტა ხნის წინ "სი-ენ-ენისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რესპუბლიკური პარტია რომნის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატად ოფიციალურად ხვალ დაასახელებს. როდესაც ეს უკანასკნელი სიტყვით გამოვა და თანხმობას განაცხადებს კენჭისყრაზე. პოლ რაიანის გამოსვლა ყრილობაზე დღეს არის დაგეგმილი.

ყრილობამ განსაზღვრა პარტიის მომავალი კურსიც, რომელიც, ტრადიციულად, საგარეო პოლიტიკაში ამერიკის მოწინააღმდეგეებად დასახელებული არიან ირანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი და რუსეთი. თუმცა, რესპუბლიკელების აზრით, ამერიკას აქვს საერთო ინტერესებიც რუსეთთან და, შესაბამისად, ჩინეთთანაც. ეს არის ტერორიზმთან და ბირთვული იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, აგრეთვე, ვაჭრობის განვითარება. ანალიტიკოსების აზრით, პროგრამა უკიდურესი კონსერვატიულობით გამოირჩევა. მათი სიტყვებით, ამის ნათელი მაგალითია აბორტების წინააღმდეგ ბრძოლა და მკაცრი პოზიცია სექსუალური უმცირესობების მიმართ - ერთადერთ მისაღებ ქორწინებად დასახელებულია კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის.

ირანის ხელმძღვანელობის აქტიურობა ზეწოლის ფონზე

ამ კვირაში თეირანში "მიუმხრობლობის მოძრაობის" სამიტი გაიმართება, სადაც ირანს საკუთარ კომპეტენტურობაზე სასაუბროდ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მიეცემა. სამიტზე ირანის ლიდერების სავარაუდო ქადილი არა მარტო მსოფლიო, არამედ შიდა აუდიტორიაზეც იქნება გათვლილი.

მიუხედავად ოფიციალური თეირანის ბოლოდროინდელი ხმამამაღალი განცხადებებისა, რეალურად, ირანის ისლამური რესპუბლიკა ყველა მხრიდან ზეწოლას განიცდის.

აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში 11 აგვისტოს მომხდარი მიწისძვრა ქვეყნის მთავრობისათვის დიდ კატასტროფად იქცა. იმ ფონზე, როდესაც მიწისძვრამ 300 ადამიანი იმსხვერპლა და ათასობით დაშავდა, ქვეყნის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადი-ნეჯადმა დაგეგმილი შეხვედრა არ გადადო და საუდის არაბეთში გაემგზავრა. აღნიშნულმა ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მიწისძვრას ქვეყანა საკმაოდ მოუმზადებელი შეხვდა. მაშინ, როდესაც მიწისძვრიდან 24 საათში მთავრობა აცხადებდა, რომ ისინი სამაშველო ოპერაციებს ახორციელებდნენ, ზოგიერთი გაზეთი წერდა, რომ სოფლებში დასახმარებლად არავინ ჩასულა. მთავრობა მწარედ გააკრიტიკა ხალხმა, მედიამ და პარლამენტის წევრებმაც.

ნათელია, რომ ქვეყნის მმართველობით ხალხი შეშფოთებულია. ამერიკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ქვეყნის ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირება გამოიწვია, რასაც ინფლაციის ზრდა მოჰყვა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ერთი ამერიკული დოლარი 10 000 ირანული რეალი ღირდა. დღეს ერთ ამერიკულ დოლარს 20 000 რეალად იყიდით. როგორც თავად ირანელები აღნიშნავენ, ახლანდელი მდგომარეობა 1980-იან წლებში ერაყთან ომის დროს არსებული მდგომარეობის მსგავსია.

მაღალმა ფასებმა და სურსათის უკმარისობამ ისეთი საკვები, როგორიც, მაგალითად, ქათამია, ძნელად ხელმისაწვდომი გახადა. "ქათმის კრიზისმა" იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ პოლიციის უფროსმა აჰმედ მოგადამ ტელევიზიებს თხოვნით მიმართა, თავი შეიკავონ ისეთი კადრების ჩვენებისაგან, სადაც ხალხი ქათამს მიირთმევს.

ქვეყნის უმთავრესი შემოსავალი ნავთობის ექსპორტია. თუმცა, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მაღალი ფასის მიუხედავად, ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ეცემა. როგორც არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, ირანი ყოველდღიურად 110 მილიონ დოლარს კარგავს, თვეში კი - სამ მილიარდს. ეს იმ შეზღუდვების წყალობით ხდება, რომელის გამოც ირანს ნავთობის გაყიდვა უჭირს. გასულ წელს ირანი დღეში 2,2 მილიონ ნავთობს ჰყიდდა, ახლა ეს რაოდენობა განახევრებულია.

ამ ყველაფრის ფონზე ირანის უმთავრესი მოკავშირე, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი არც თუ ისე კარგ დღეშია. თუ თეირანი დამასკოს "დაკარგავს," მისი საერთაშორისო იზოლაცია მკვეთრად გაიზრდება.

არაბეთში არსებული მოვლენებისა და ეკონომიკური სანქციების ფონზე ისრაელი ირანთან ომზე საუბრობს. ირანელი ლიდერები პირობას დებენ, რომ თავდასხმის შემთხვევაში ისრაელს გაანადგურებენ. ცხადია, ომზე საუბარი ირანის მოსახლეობასა და მთავრობაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს. ზოგიერთი ირანელი კითხულობს: "ბირთვული ენერგია - რა ფასად?"

ცხადია, რომ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები სერიოზულად მოქმედებს. თუმცა, ჯერ გაურკვეველია, მიაღწევს თუ არა ეს სანქციები დასახულ მიზანს - ეს არის ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობაზე უარის თქმა. ამ დროისათვის ირანი კვლავ განაგრძობს ურანის გამდიდრებაზე მუშაობას. მალე თეირანში "მიუმხრობელთა მოძრაობის" ლიდერები შეიკრიბებიან, სადაც ირანი შეეცდება, მსოფლიოსა და ირანულ საზოგადოებას შემდეგი შეტყობინება გაუგზავნოს - ისინი დარწმუნებულები, კომპეტენტურები და შეუკავებლები არიან.

***P.S.* მიუმხრომლობის მოძრაობის სახელმწიფოების XVI შეხვედრა თეირანში სამშაბათს დაიწყო. მთავარი მოვლენა - დელეგაციის მეთაურთა სამიტი - ხუთშაბათს არის დაგეგმილი. 36 სახელმწიფო პრეზიდენტების, ვიცე-პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების დონეზეა წარმოდგენილი, თითქმის 80 სახელმწიფო - საგარეო საქმეთა მინისტრებისა და სპეცწარმომადგენლების დონეზე. სამიტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ეგვიპტის პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა, კუბის ხელმძღვანელმა რაულ კასტრომ, ინდოეთის პრემიერმა მანმოჰან სინგჰმა, აგრეთვე, პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა. სპარსეთის ყურის სახელმწიფოები, რომლებიც ასევე არიან მიუმხრობლობის მოძრაობის წევრები, არ მონაწილეობენ შეხვედრაში სირიის საკითხში ირანთან არსებული უთანხმოების გამო. სიტუაციის დელიკატურობის მიუხედავად, თეირანში ჩადის გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნიც. "24 საათი" სამიტის მუშაობას თვალს კვლავ მიადევნებს.**

"World Politics Review"-ს მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

BIAFF-ის ოფიციალური პროგრამა ცნობილია

პირველი გვერდიდან

მათ შორის, ელდარ შენგელაია, პოლონელი რეჟისორი იერჟი ჰოფმანი და შარშანდელი კანის კინოფესტივალის ჟიურის დიდი პრიზის მფლობელი ფილმის "ერთხელ ანატოლიაში" რეჟისორი, თურქი ნური ბილჯე ჩეილანი. აღსანიშნავია, რომ იერჟი ჰოფმანსა და ელდარ შენგელაიას ფესტივალის მსვლელობისას მსოფლიო კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალურ ჯილდოს გადასცემენ. ჩამოთვლილთა გარდა ბათუმი კიდევ რამდენიმე უცხოელ სტუმარს უმასპინძლებს.

გაგაცნობთ მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის მონაწილე ფილმებს:

კონკურსში მოხვდა შარშანდელი ვენეციის კინოფესტივალის "ოქროს ლომის" ნომინანტი, მარიან სატრაპისა და ვინსენტ პარონოს "ქათამი ქლიავით", "ოსკარის" საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინანტი "სიბნელეში" (რეჟისორი აგნეშკა ჰოლანდი), სერგეი ლოზნიცას კანის კინოფესტივალის "ფიპრესის" პრიზის ლაურეატი "ნისლში" და ირანელი ალი მოსაფას "უკანასკნელი ნაბიჯი" (ამ ფილმში მთავარ როლს "ნადერისა და სიმინის გაყრის" ვარსკვლავი ლეილა ჰატამი თამაშობს). ასევე კონკურსის ფილმებს შორისაა ნორვეგიელი მარტინ ლანდის "თითქმის ადამიანი", თურქი ამინ ალპერის "ბორცვებს მიღმა", ბრიტანელი რუფუს ნორისის "გატეხილი", უკრაინელი ევა ნიმანის "სახლი კოშკით" და ესტონელი პიტერ სიმის "ეული კუნძული". ცნობილია მხატვრული ფილმების ჟიურის კონკურსის შემადგენლობაც: ელდარ შენგელაია, სერგეი ლავრენტიევი (რუსეთი), ნიკ ჰოლდსვორთი (დიდი ბრიტანეთი), გეორგი რალფი (უნგრეთი) და პეტრ ზელენკა (ჩეხეთი).

როგორც მხატვრული ფილმების ჩამონათვალში ნახეთ, კონკურსში ერთი ქართული ფილმიც არ მონაწილეობს და იგივე სურათია დოკუმენტური კინოს სექციაშიც. სამაგიეროდ 26 საკონკურსო მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან ხუთი ქართული წარმოებისაა. ქართული ფილმი მონაწილეობს კონკურსშიც "აბრეშუმის გზის ქვეყნების კინო" და ეს საალმოე ჯაშის "ბახმარო" გახლავთ.

ბათუმის კინოფესტივალის რეტროსპექტული ჩვენების პროგრამაში წარმოდგენილი იქნება უკვე ნახსენები ნური ბილჯე ჩეილანის "ერთხელ ანატოლიაში" და "შორეული". 2002 წელს გადაღებული ეს ფილმი "ანატოლიის" მსგავსად კანის კინოფესტივალის მონაწილეა, სადაც "ოქროს პალმის რტოზე" იყო ნომინირებული და ჟიურის დიდი

პრიზის გარდა საუკეთესო მსახიობების ჯილდოებიც მოიპოვა.

კონკურსისა და სპეციალური ჩვენებების გარდა ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება პარალელური ღონისძიებებიც, მათ შორისაა BIAFF Industry Meetings. ეს გახლავთ ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებული ორდღიანი ინდუსტრიული შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც თურქი და პოლონელი პროდუსერები ქართული კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შეხვდებიან. ინდუსტრიული შეხვედრების მიზანია უცხოელ და ქართველ კინემატოგრაფისტებს შორის კონტაქტების დამყარება და კო-პროდუქციის განვითარების ხელშეწყობა. ასევე ჩატარდება დოკუმენტური კინოს უორქშოფიც KINO FUTURES - BIAFF GEORGIA, რომლის ორგანიზატორიც BIAFF-ის პარტნიორი ბრიტანული ორგანიზაცია Postdoc Films-ს გახლავთ. უორქშოფის მონაწილეები შერჩეულ თემაზე მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს გადაიღებენ, მუშაობის პროცესში კი გამოცდილი რეჟისორებისგან მიიღებენ რეკომენდაციებს. პროექტის მხარდამჭერია "ბრიტანეთის საბჭო".

კინოფესტვალის ფარგლებში იგეგმება კონკურსი ბლოგერებისთვისაც. მათთვის ორდღიანი უორქშოფიც ჩატარდება თემაზე "სოციალური მედიის მნიშვნელობა კულტურული ღონისძიებების მარკეტინგში". კინოფესტივალის მიმდინარეობისას გამოცხადდება კონკურსი, ყველაზე აქტიური სამი ბლოგერი კი მომავალი წლის ბათუმის კინოფესტივალის ექსკლუზიური ბლოგერის სტატუსით ისარგებლებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ კინოფესტივალის ორგანიზატორია ბათუმის ხელოვანთა სახლი "არგანი", ხოლო ფილმების ჩვენებები ბათუმის კინოთეატრ "აპოლოსა" და სასტუმრო "რადისონის" დარბაზში გაიმართება.

მე-13 დოკუმენტა ქალური ზტრიხებით

პირველი ქართველი მხატვარი კასელში

ბელა ჩეკურიშვილი

წელს პირველად ხდება, რომ გერმანიის ქალაქ კასელში, სადაც თანამედროვე ხელოვნების გამოფენა - დოკუმენტა მიმდინარეობს, ქალებს მხოლოდ დამთვარიელებელთა შორის არ ვიხილავთ. გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა ნახევარი ქალი მხატვრების მიერაა შესრულებული. მართალია, ქალებისთვის რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია არ მიუნიჭებიათ, მაგრამ როგორც ჩანს, დოკუმენტას ორგანიზატორთა მხრიდან მათი იგნორირება დასრულდა და ისინი, წლევანდელ გამოფენაზე, გასულ წლებთან შედარებით მულტიკულტურულ ხელოვნებას წარმოგვიდგენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენაში წელს პირველად მონაწილეობს ქართველი ხელოვანი და წლევანდელი ტენდენციის მიხედვით, ქალი - ბერლინში მცხოვრები არტისტი თეა ჯორჯაძე. მას მასშტაბური არტობიექტები აქვს წარმოდგენილი სათბურის შენობაში, რომელიც ნაპოვნი მასალებით არის დამზადებული. თეა ჯორჯაძე ამ ინსტალაციას სათაურად არქმევს "As sagas sa".

თეა ჯორჯაძე გერმანიაში 1994 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს როგორც ქანდაკებაზე და ინსტალაციებზე, ასევე მიმართავს ფერწერას, მხატვრობას, ფოტოგრაფიას, ვიდეოგამოსახულებას, აკეთებს პერფორმანსებს.

მისი ნამუშევრების დიდ ნაწილი ინსტალაციებისაგან შედგება, რომლის მესიჯი საგამოფენო ადგილისმიხედვითაა განსაზღვრული. მისი მასშტაბური სივრცული ნამუშევრები მუდამ დახვეწილია, საგამოფენო არქიტექტურის სიმძიმე კი მოვალეობის შემსრულებელ ელემენტებად აღიქმება. თეა ჯორჯაძე ინსტალაციებში ხშირად მიმართავს აკვარელს და მხატვრობას, რაც ამძაფრებს ნამუშევრების ექსპრესიულობას და ამავდროულად ხაზს უსვამს ნამუშევრების ფრაგმენტულობას, თითქოსდა დაუსრულებლობას.

თეა ჯორჯაძის სკულპტურები ყოველდღიური მასალისგანაა დამზადებული, ნაწილი უკვე მიმქრალი, რომლებიც რაღაცით შინაგან, მხოლოდ ქალურ ენაზე ასახსნელ სიტყვებს წარმოადგენს, როგორიცაა, მაგალითად, მინა, კერამიკა, ქაღალდი, ღრუბელი, საპონი, სილიკონი, ტექსტილი. ამავე დროს, ეგრეთწოდებული ღარიბულ მასალებს (მუყაო, ქაფი, თაბაშირი, ფირი თუ პაპიემაშე), მას შეუძლია შეურიოს ძვირადღირებული მასალები და ტექნიკა - კერამიკა იქნება ეს, ზეთის მხატვრობა თუ ოქროს ლაქი. იმისათვის რომ ფაქიზი სტრუქტურა ჰქონდეს, ყუთებს, თაროებს თუ კედლებს, რომლებიც მისი სკულპტურის ნაწილს შეადგენს როგორც საყრდენები და ჩარჩოები, იგი ხისგან და მეტალისაგან ამზადებს.

თეა ჯორჯაძე უამრავი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა, 1999 წლიდან იგი არტ-ჯგუფ



hobbypopMUSEUM-ის წევრია, თუმცა კი, დოკუმენტაზე მოხვედრა განსაკუთრებით აღსანიშნავი იქნება მის ბიოგრაფიაში.

რა არის დოკუმენტა? როგორც ხელოვანთა წრეებში ამბობენ, თუკი თანემედროვე სამყაროს ნახვა გსურთ, ამ გამოფენას უნდა ეწვიოთ, რომელიც კასელში ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება და 100 დღე გრძელდება. პირველად იგი 1955 წელს გაიმართა გერმანელი მხატვრისა და კურატორის არნოლდ ბოდეს ინიციატივით.

წელს მე-13 დოკუმენტა მიმდინარეობს, რომელიც 9 ივნისს დაიწყო და 16 სექტემბრამდე გაგრძელდება.

დოკუმენტა კვლავაც აგრძელებს სამყაროს განცვიფრებას, იყო ეს მეორე მსოფლიო ომისშემდეგომი ღატაკი წლები თუ მეოცე საუკუნის მიწურულის მღელვარე ამბოხის ეპოქა. დოკუმენტა კვლავინდებურად აქტიურია გლობალიზაციით დაღდასმულ ხელოვნთა წრეში. ზოგადად კი, დოკუმენტას გამოფენათა ისტორია, სავსეა როგორც დაცემითა და დაკნინებით, ეჭვით, სკანდალით, ასევე სიახლეებითა და შემეცნებით. ერთი კია, დოკუმენტას ისტორია მუდამ სავსეა სახელოვნებო წარმატებებით.

სხვა ბიენალეებისაგან განსხვავებით, სადაც ნაციონალური პავილიონები იმართება ხოლმე, დოკუმენტას კონცეფციას ერთი კურატორი განსაზღვრავს, წელს მას კაროლინ ხრისტოვ-ბაკარჯიევი წარადგენს.

ლაფანყურის სპეცოპერაციისას მსოფლიოს ჩემპიონი არჩილ ჩოხელი დაიღუპა

სოფელ ლაფანყურში შსს მიერ მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაციას სამი სამხედრო პირი დაიღუპა, მათ შორის - ვეტერანი სამბისტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი არჩილ ჩოხელი.

არჩილ ჩოხელი 1971 წლის 23 მაისს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში დაიბადა. იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1993), ორგზის მეორე (1994, 1997) და ექვსგზის მესამე (1992, 96, 98, 99, 2000, 02) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997) და მეორე პრიზიორი (1996), ევროპის ჩემპიონი (1998), მეორე (2001) და ექვსგზის მესამე (1993, 94, 97, 99, 2000, 02) პრიზიორი. ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ოთხი თვის წინათ დაინიშნა.

"დნიპროს" ესპანელი მწვრთნელი კანკავას კლუბში აბრუნებს

დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ესპანელი მწვრთნელი ხუანდე რამოსი კრივოი როგის "კრივბასიდან" იჯარის წესით განათხოვრებულ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს ჯაბა კანკავას აბრუნებს. არადა, თავის დროზე, დნეპროპეტროვსკელთა ესპანელმა მწვრთნელმა კანკავა დუბლშემადგენლობაში გადაიყვანა და სხვა გუნდის მოძებნა ურჩია.

ქართველ ნახევარმცველმა ახალ სეზონში "კრივბასის" რიგებში შვიდ შეხვედრაში მოასწრო თამაში და ორი გოლი გაიტანა.

"დნიპროში" კანკავას დაბრუნება კადრების მწვავე დეფიციტს უკავშირდება.

აქვე გეტყვით, რომ უკრაინულ კლუბს ხუთშაბათს საკუთარ მოედანზე ევროპის ლიგის პლეი ოფის საპასუხო მატჩში ლიბერეცის "სლოვანთან" უწევს შეხვედრა. ამ გუნდების პირველი მატჩი 2:2 დასრულდა.

და კიდევ, კანკავას გარდა, "დნიპრო" კიევის "არსენალიდან" ალექსანდრე კობახიძისა და გეორგე ფლორესკუს, ხოლო "შახტარიდან" მცველ არტიომ ფედეცკის დაბრუნების ვარიანტსაც განიხილავს. გარდა ამისა, კლუბი ახლოსაა ხელშეკრულება გააფორმოს "შახტარის" თავდამსხმელ ევგენი სელეზნევთანაც.

ქინქლაძე ნანის ტრანსფერთან კავშირს უარყოფს

ამას წინათ უცხოურ მედიაში დაიწერა, რომ "მანჩესტერის" პორტუგალიელი შემტევის ნანის რუსულ "ზენიტში" გადასვლა გიორგი ქინქლაძეზეა დამოკიდებული. პოპულარული რუსული გამოცემის, "სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ მცირე ინტერვიუში გიორგიმ ამ ტრანსფერთან კავშირი უარყო.

"უმჯობესია ამ საკითხზე "ზენიტის" ხელმძღვანელობას ელაპარაკოთ. ინგლისურ პრემიერლიგაზე ნამდვილად ვსპეციალიზდები, მაგრამ ნანისა და "ზენიტის" შემთხვევა მე არ მეხება. თუმცა, ვფიქრობ, უახლოესი სამი დღის განმავლობაში ინგლისურ და რუსულ კლუბებს შორის არავითარი მსხვილი გარიგება არ მოხდება. რამე ხმაურიან ტრანსფერს უფრო ზამთარში უნდა ველოდოთ".

"მანჩესტერ იუნაიტედიდან" ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი წავიდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვი უახლოეს მომავალში იტალიური "ფიორენტინას" მაისურს მოირგებს. 31 წლის თავდამსხმელი კლუბთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ფლორენციაში იმყოფება.

ბერბატოვსა და "ფიორენტინას" შორის თანამშრომლობა ორ წელიწადს ითვალისწინებს პლუს ერთი წლისთ გახანგღზლივების შესაძლებლობით.

დიმიტარ ბერბატოვმა უკვე არაერთგზის განაცხადა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედში" სათამაშო პრაქტიკის სიმცირის გამო თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა და კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებაზე ფიქრობდა.

პატოს სახელობის ტრავმა

იტალიურ გამოცემა Corriere della Sera-ს ინფორმაციით, "მილანის" ბრაზილიელ შემტევს, ალეშანდრე პატოს, ფეხბურთის ისტორიაში შესვლის რეალური შანსი აქვს. იტალიელმა მედიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ ერთ-ერთ ტრავმას პატოს სახელი მიანიჭონ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ტრავმა ქრონიკულად აწუხებს ალეშანდრეს.

სპეციალისტებმა დაითვალეს, რომ ტრავმების გამო პატოს კარიერაში უკვე 400-ზე მეტი დღე გაუცდა. გაცდენების უმეტესობა კუნთის "საფირმო" დაჭიმვაზე მოდის.

"მილანი" ბენდტნერის შეძენას გეგმავს

მას შემდეგ, რაც "მილანი" იბრაჰიმოვიჩმა დატოვეს, "როსონერის" მესვეურები ფორვარდის ძიებაში არიან. თუ ბრიტანულ მედიას დავუჯერებთ, მილანელებმა დანიის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ფორვარდზე, ნიკლას ბენდტნერზე შეაჩერეს არჩევანი.

დანიელმა გასული სეზონი "სანდერლენდში" გაატარა და ახლა "არსენალში" დაბრუნდა. არსენ ვენგერი ბენდტნერს არ ენდობა - ძირითადში არ ათამაშებს. ასე რომ, ხელმძღვანელობა ბენდტნერთან დაკავშირებით ნებისმიერ წინადადებას განიხილავს.

ჩინური წარმატების საიდუმლო

ვასილ უდუმაშვილი

"სპორტსმენი ნომერი 137"-ს ყოველდღე ეუბნებოდნენ, რომ იმისთვისაა დაბადებული, რათა ქვეყნისთვის ოლიმპიური ოქრო მოიგოს

დასრულდა ოლიმპიური თამაშები და ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ყველაზე მეტი მედალი ჩინეთმა მოიგო. როგორ იქცა ჩინეთი სპორტულ "დერჟავად", რა არის ამის მთავარი მიზეზი? ვცადოთ, ამ კითხვას გავცეთ პასუხი.

სპორტის სტრუქტურა

1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე სკანდალური ჩინური დებიუტიდან ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელი სპორტსმენების მეორე გამოჩენამდე მთელი 32 წელი გავიდა. 1952 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) თავის რიგებში ტაივანიც მიიღო. ჩინელებს სწორედ ეს არ ესიამოვნათ და ჰელსინკი დემონსტრაციულად დატოვეს. ამასთან ერთად, ჩინელებმა სოკ-იც დატოვეს.

ოლიმპიურ ოჯახში ჩინელების დაბრუნება წარმატებული გამოდგა. 1984 წელს, ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც სოციალისტურმა ბანაკმა ბოიკოტი გამოუცხადა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩინეთმა მეოთხე ადგილი დაიკავა - მოიგო 15 ოქროს მედალი. ოთხი წლის შემდეგ, სეულში, ჩინეთის დელეგაცია ჩავარდა (სულ 5 ოქრო), ბარსელონასა და ატლანტაში კი ჩინეთი მეოთხე ადგილზე გავიდა (16 ოქრო). მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელები სულ პროგრესირებდნენ: სიდნეი (28 ოქრო), ათენი (32), პეკინი (51 და მედლების რაოდენობით პირველი ადგილი).

ჩინელებისთვის ყველაზე წარმატებულ სახეობებად ითვლება წყალში ხტომა, სპორტული ტანვარჯიში, ძალოსნობა, ტყვიის სროლა და მაგიდის ჩოგბურთი. ოდნავ დათმეს პოზიციები ბადმინტონსა და ცურვაში. ყველაზე სუსტი სახეობა კი ველოსპორტია. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჩინელებს ველოსპორტში ჯერ-ჯერობით არც ერთი მედალი არ მოუგიათ.

ისევე როგორც საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდ ნაწილში, ჩინეთში სპორტზე პასუხისმგებელია ერთი უწყება - ფიზიკულტურისა და სპორტის მთავარი სახელმწიფო სამმართველო. მისი დირექტორი, 60 წლის ლიუ პენი, განათლებით ინჟინერია. ის ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია და ამავე დროს ჩინეთის ოლიმპიურ კომიტეტსაც ხელმძღვანელობს.

პროფესიონალი სპორტსმენების მომზადება უმდაბლესი დონიდან - სპორტული ინტერნატებიდან იწყება. ამ ტიპის ინტერნატებით მოფენილია მთელი ჩინეთი. დღის პირველი ნაწილი ჩვეულებრივ სასკოლო პროგრამას ეთმობა, მეორე ნაწილში კი სპორტული ვარჯიშები იწყება. სპორტულ სკოლაში მოხვედრა ადვილი არ არის. აუცილებელია გარკვეული კონკურსის გავლა. არ გეგონოთ, რომ სპორტით მხოლოდ სპეციალიზებულ სკოლებში არიან დაკავებული. ჩვეულებრივ სკოლაში ბავშვი ირჩევს სპორტის რომელიმე სახეობას და ფიზკულტურის გაკვეთილებზე ამ სახეობაში ვარჯიშობს.

თუ ბავშვს აქვს მონაცემები, მას სპორტულ სკოლაში დიდხანს არავინ აჩერებს. სპორტული ინტერნატიდან ბავშვი გადაჰყავთ პროვინციის სპორტულ ცენტრში. ასეთი ცენტრები მუშაობენ ორ ოლიმპიურ სახეობაზე. სპორტულ ცენტრებში შერჩევა ორ-სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. სპეციალისტები პროვინციაში არსებულ ყველა სპორტსკოლას მოივლიან და ნიჭიერი ბავშვები ცენტრებში გადაჰყავთ.

დამაგვირგვინებელი რგოლია დედაქალაქის ელიტური სპორტული ცენტრი, რომელშიც მხოლოდ პროვინციის ჩემპიონები და ყველაზე ნიჭიერი სპორტსმენები ხვდებიან.

პარტია და იდეოლოგია

დევიზი "სპორტი პოლიტიკის გარეშე" კარგა ხანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ჩინეთში ეს განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა. ჩინეთში სპორტის აღმავლობა სიდნეის ჩაგდებული ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაიწყო. სიდნეური ფიასკო ჩინეთის პარტიულ ხელმძღვანელობას არ მოეწონა და შეიქმნა "პროექტი 119" (ეს მედლების კომპლექტის რაოდენობაა, რომელიც ოლიმპურ თამაშებზე ცურვაში, მძლეოსნობაში, აფროსნობაში, ნიჩბოსნობასა და სხვა სახეობებში თამაშდება). ჩინელებმა სიდნეიში ამ 119 კომპლექტიდან მხოლოდ ერთი მედალი მოიგეს. ხელისუფლება ამ პროექტს სერიოზულად მოეკიდა. ერთ წელიწადში მოცურავეებმა ახალი გამოცდილი მწვრთნელები მიიღეს. სპორტსმენები და მწვრთნელები ფინანსურად დააინტერესეს. გადის კიდევ დაახლოებით ათი წელიწადი და აუზში ეი შივენიც გამოჩნდა.

ეი შივენი

ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ამზადებენ ჩინეთში ოლიმპიურ ჩემპიონებს. სკოლის მასწავლებელმა ჩათვალა, რომ ამ გოგონასგან კარგი მოცურავე გამოვიდოდა. მომავალი ჩემპიონი ჩვეულებრივი სკოლიდან გადაიყვანეს სპეციალიზებულ სპორტულ დაწესებულებაში, სადაც ის ძირითადად ცურვით იყო დაკავებული და სხვა არავითარი საზრუნავი არ ჰქონდა. ეი შივენი დღეში თითქმის 16 საათს ვარჯიშობდა. ვარჯიშისგან მხოლოდ მაშინ ასვენებდნენ, როდესაც იმ აუზს ალაგებდნენ, რომელშიც გოგონა ვარჯიშობდა.

სპორტულ სკოლაში ეი შივენს სახელიც კი არ ჰქონდა. მას იცნობდნენ როგორც "სპორტსმენი ნომერი 137". ყოველდღე ეუბნებოდნენ, რომ იმისთვისაა დაბადებული, რათა ქვეყნისთვის ოლიმპიური ოქრო მოიგოს.

11 წლის ასაკში შივენმა ახალგაზრდებს შორის ნაციონალური ჩემპიონატი მოიგო, 16 წლის ასაკში კი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეი შივენს ავსტრალიაში ამზადებდნენ.

ჩინეთის ხელისუფლებას სპორტზე ფულის დახარჯვა არ ენანება. სხვადასხვა ფედერაციებს, წლიური ბიუჯეტის სახით, 700 მილიონამდე დოლარი აქვთ გამოყოფილი.

კომპარტიის მონაწილეობა სპორტში მხოლოდ ფულის გამოყოფით როდი შემოიფარგლება. ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ ყველაზე მსხვილმა ჩინურმა სპორტულმა გაზეთმა ასეთი მითითება მიიღო: თუ თქვენ აკრიტიკებთ სპორტსმენთა მომზადების ჩვენეულ სისტემას, ამით თქვენ აკრიტიკებთ მთელს ჩინეთს. სანამ რაიმეს დაწერდეთ, კარგად დაფიქრდით". კრიტიკა დღემდე არავის ესმის.

ჩინეთის მთავრობას არც სპორტსმენები უცრუებენ იმედს. მაგალითად, ძალოსანი იუ ცზინბაო, რომელმაც ლონდონში ვერცხლის მედალი მოიგო, ოლიმპიური თამაშების შემდეგ ღია ეთერში ატირდა და ხელისუფლებას ბოდიში მოუხადა წარუმატებლობისთვის.

2011 წელს გამოკვლევებმა დაადგინეს, რომ 100 მილიონზე მეტი ჩინელი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ამიტომ სპორტი ჩინეთისთვის ერთგვარი სოციალური ლიფტია. სპორტში ფულის ჩადებით ჩინეთის ხელისუფლება ორ კურდღელს იჭერს: ოლიმპიურ მედლებსაც იხვეჭს და მოსახლეობის განწყობასაც აუმჯობესებს.

მწვრთნელები

კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას ჩინეთში უცხოელი სპეციალისტების მიწვევით არეგულირებენ. თუ ადგილობრივი მწვრთნელი მიხვდა, რომ უცხოელისგან ვეღარაფერს ისწავლის, მოწვეულ სპეციალისტს მაშინვე შეელევიან.

2008 წელს სუნ იანმა ჩინეთს ცურვაში პირველი ოქრო მოაგებინა. პეკინის ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე ის საცხოვრებლად გადაიყვანეს ავსტრალიაში, სადაც ცნობილ სპეციალისტთან, დენის კოტელრემთან ემზადებოდა. სუნ იანის მომზადებაზე ჩინეთის ხელისუფლებამ 1.57 მილიონი დოლარი დახარჯა.

საპრიზოები

ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ჩინურ მედიაში ბევრს წერდნენ წყალში მხტომელი ოლიმპური ჩემპიონის ხუ ცზის თაობაზე, რომელიც წუწუნებდა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების მოგებისთვის მიღებული ბონუსი პეკინში საცხოვრებელი ბინის საყიდლად საკმარისი არ არის. თუმცა, ჩინეთში დარწმუნებული არიან, რომ საჭირო თანხას ოლიმპიური ჩემპიონი მუნიციპალური სტიპენდიებით და სპონსორებისგან მიიღებს. მაგალითისთვის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სესი ჩენიც კმარა, რომელმაც 3.4 (1 დოლარი დაახლოებით 6 იუს უდრის) მილიონი იენი სახელმწიფოსგან მიიღო, ადგილობრივმა სპონსორებმა კი ბინა და Audi Q7 უყიდეს.

ჩინელი სპორტსმენები გათავისუფლებული არიან გადასახადებისგან.

ახლა კი გაგაცნობთ, რა საპრიზო თანხებს იღებდნენ ჩინელი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე.

ლოს ანჯელესი 1984

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონია სიუ ხაიფენი, რომელსაც, საპრიზო თანხის სახით, 9000 იუანი მისცეს. ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების დანარჩენ ჩინელ ჩემპიონებს, დაპირებისამებრ, 6000-6000 იუანი გადაუხადეს.

სეული 1988

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონებს 15 000 იუანს დაჰპირდნენ. ამ თანხით დაახლოებით 208 ყუთი თამბაქოს ყიდვა შეიძლებოდა, რაც საშუალო მწეველს დაახლოებით 5 წლისა და 8 თვის განმავლობაში ეყოფოდა.

ბარსელონა 1992

სახელმწიფომ ბონუსი გაზარდა და ოლიმპიურ ჩემპიონებს უკვე 80 000 იუანს აძლევდნენ. ეს კი ჩინური საზომით არც ისე მცირე თანხაა.

ატლანტა 1996

იმხანად ჩინეთში ბევრს არ მოსწონდა, რომ სპორტსმენებს ოქროსთვის ფულს უხდიდნენ. ამის გამო ხელისუფლებამ დაძაბულობას თავი აარიდა და საპრიზო თანხა იგივე დატოვა. შედარებისთვის გეტყვით, რომ ამ თანხით ოლიმპიურ ჩემპიონს 21 ფერადი ტელევიზორის ყიდვა შეეძლო.

სიდნეი 2000

ოლიმპიური ოქროსთვის უკვე 150 000 იუანს იხდიდნენ. იმ წელიწადს ჩინეთის კოლეჯში სწავლის საფასური წელიწადში 4 ათასი იუანი იყო.

2004 ათენი

პირველად ჩინური სპორტის ისტორიაში ხელისუფლებამ საპრიზო თანხა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვისაც დააწესა. ოქროსთვის სპორტსმენს 200 000 იუანს აძლევდნენ, ვერცხლისთვის - 120 000-ს, ბრინჯაოსთვის - 80 000-ს. იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა კონდიციონერები. 200 000 იუანად ასი კონდიციონერის ყიდვა შეიძლებოდა.

პეკინი 2008

საშინაო ოლიმპიადისთვის ჩინეთში განსაკუთრებულად მოემზადნენ. ოქროსთვის სპორტსმენებს 350 000 იუანი მისცეს, ვერცხლისთვის - 210 000, ბრინჯაოსთვის - 140 000.

ლონდონი 2012

24 წლის განმავლობაში ჩინელი სპორტსმენების საპრიზო თანხა თითქმის 59-ჯერ გაიზარდა. აქვე ერთ დეტალზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: 1984 წლიდან მოყოლებული დღემდე ადგილობრივი სახელმწიფო ფონდი ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს ერთ კილოგრამ ოქროს ჩუქნის (ღირებულება დაახლოებით 50 000 დოლარი).

კოკოშკოვი და ქართული ბრიფინგი

იგორ კოკოშკოვმა ოთხიდან სამი თამაში მოიგო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კოკოშკოვმა ბოსნიასთან ნაკრების ისტორიაში ყველაზე სერიოზული მეოთხედი დატოვა. იმ, პირველ, 28:9 მოგებულ მეოთხედში, საქართველოს ნაკრები ამ საკვალიფიკაციოს "დრიმ თიმი" იყო. იმ კალათბურთით გადავხევდით კრსტიჩის სერბეთს და ერდენის თურქეთს. ის კალათბურთი იგორის აზროვნება და ლიდერების ლტოლვა, ქარიზმა, გამოცდილება იყო. ჰოლანდიაში დავუშვით შეცდომები და შეცდომა ჰოლანდიასთან უნდა დაუშვა. ლატვიასთან და ბოსნიასთან რომ აღარ დაუშვა. იგორ კოკოშკოვმა ბრიფინგზე საინტერესო თემებზე ისაუბრა.

1. ნაკრები აწყობილი მექანიზმია და თუ რომელიმე ნაწილი ფუჭდება, რაღაც მომენტში იმპროვიზაცია იწყება. ჰოლანდიასთან არ იყო სანიკიძე და ყველაფერი შევცვალეთ. ვიქტორი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და, მოწინააღმდეგისგან განურჩევლად, გუნდი ძალიან ბევრს კარგავს.

2. ფაცაცია, ბოისა, მეტრეველი, ლეჟავა ნაკრებში იმ დატვირთვას იღებენ, რაც უნდა მიიღონ. ნაკრები არ არის რომელიმე კონკრეტული მოთამაშის პირადი პროექტი. ნაკრები ოჯახია და ყველა ერთმანეთს ეხმარება, ერთმანეთზე ზრუნავს.

3. ფაჩულია ჰოლანდიასთან ძალიან კარგი იყო. კაპიტანი, რომელსაც ყველა პატივს სცემს. "ყველაში" ვგულისხმობ როგორც საქართველოს, ისე სხვა ნაკრებების მოთამაშეებს. ზაზამ მაქსიმუმი გააკეთა. დანარჩენებმაც მაქსიმუმი გააკეთეს. წავაგეთ. ხდება ხოლმე.

4. იგებენ მოთამაშეები, აგებს მწვრთნელი.

5. მე არ მაქვს უფლება ჩავერიო რომელიმე ჟურნალისტის საქმეში. უბრალოდ, გთხოვთ, რომ ნაკრებთან უფრო იმეგობრეთ, მეტი სითბო, დადებითი ემოცია მოგვეცით. ჩვენ თქვენთვის მაქსიმუმს ვაკეთებთ. ვიცი, რომ ყველა მოთამაშე საქართველოზე, თქვენზე ფიქრობს. ეს გახსოვდეთ.

6. ცქიტიშვილი, ბოისა, გამყრელიძე კარგი, გამოცდილი მოთამაშეები არიან. უბრალოდ, ხანდახან ყველაფერი იცვლება და ეს ჩვეულებრივი, ნორმალური, აუცილებელი პროცესია.

7. თორნიკე შენგელია მეოთხე ნომერია. ვიკა სანიკიძე იტალიაში მეოთხე ნომერია. მეტრეველი მეოთხე ნომერია. ვლადიმერ ბოისა მეოთხე ნომერია. ცქიტიშვილი მეოთხე ნომერია. ხანდახან გვიწევს არჩევანის გაკეთება და ჩვენ ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ. ნაკრები შეიცვალა და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

8. ნუ გიკვირთ, რომ, ძირითადად, შვიდი მოთამაშე იტვირთება. იგივე სიტუაციაა ბოსნიაში, სხვა სოლიდურ გუნდებში. ბოსნიაში ტელეტოვიჩი 40 წუთს დგას მოედანზე. ეს იმ ნაკრების პლუსი, აუცილებლობაა. ჩვენთან ყველა თავის დროს იღებს. თავის დროს არა მხოლოდ შესაძლებლობებიდან, ნაკრებისთვის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ერთმა მოთამაშემ 5 წუთში შეიძლება უფრო მეტი მოასწროს, ვიდრე სხვამ - 20-25 წუთში.

9. ნაკრებში არ უნდა იყოს 12 საუკეთესო მოთამაშე. ნაკრებში უნდა იყოს ის 12 მოთამაშე, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ ციკლში ერთმანეთს საუკეთესოდ შეავსებს.

10. ევროპაში კალათბურთს თითქმის ყველა თამაშობს. ორჯერ წააგო თურქეთმა და თურქეთი ბოლო მსოფლიოზე მეორე იყო. ისრაელმა ისრაელში ვერ მოიგო ესტონეთთან და გაარჩერა სერბეთი. სერბეთს არ ჰყავდა მონტენეგროსთან კრსტიჩი და მონტენეგრომ ის თამაში წამოიღო. ხორვატიას აქვს პრობლემები ავსტრიასთან. საინტერესო ციკლია.

11. პირველი წრე 3 მოგებით და 1 წაგებით დავხურეთ. საკვალიფიკაციოს დაწყებამდე ვინმეს რომ ეს ვარიანტი შემოეთავაზებინა, თანახმა ვიქნებოდი.

12. რა არის ცუდი 3 მოგებასა და 1 წაგებაში?

13. ჩვენთვის ნებისმიერი შემდეგი თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია. ვემზადებით რუმინეთისთვის, რომელსაც არ ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ გუნდურად გიქმნის პრობლემებს. ეს პრობლემები უნდა მოვაგვაროთ.

14. დაბალი ხუთეულით (ცინცაძე, მარკოიშვილი, პულენი, სანიკიძე, ფაჩულია) თამაშს თავისი დადებითი მხარეები აქვს.

15. ჰოლანდიასთან, ერთ მომენტში, ხუთეულში ფაჩულია და შერმადინი იდგნენ. იმ სიტუაციიდან გამომდინარე, ეს საუკეთესო ვარიანტი იყო.

16. ყველას აქვს ცრურწმენა. მოგებული თამაშის შემდეგ არ შევდივარ ბრიფინგზე და ჩემი თხოვნაა, ეს მიიღოთ. ბრიფინგზე მოდიან ნაკრების ლიდერები, ჩემი ასისტენტები და ყველა კითხვაზე კომპეტენტურ, თქვენთვის საინტერესო პასუხს მიიღებთ. არ მინდა წაგართვათ დრო ჩემს ასისტენტებზე საუბრით. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ მათ ბოლომდე ვენდობი და ყველა რჩევას ვითვალისწინებ.

17. მინუს სანიკიძე ნიშნავს - მინუს ბევრს.

18. ბოსნიას თავისი პლუსები აქვს. მოქნილი, ათლეტური გუნდია. ტელეტოვიჩის გუნდი. ლატვიაში ყველა მაგრად ისვრის. საინტერესო და რთული მოწინააღმდეგეები გვყავს.

19. NBA-ს მწვრთნელი ევროპაში გარკვეულ დრომდე ვერ ჩამოდის და ეს ვერ შეიცვლება. საკვალიფიკაციოს დაწყებამდე ნაკრების ყველა წევრზე ამომწურავ ინფორმაციას ვიღებ. მანამდე მწვრთნელებთან, ფედერაციასთან ერთად ვგეგმავთ მოსამზადებელ ციკლს და ყველაფერი მშვენივრად მიდის.

20. შეცდომა ყველას მოსდის. როგორც თქვენი მეგობარი, გირჩევთ, დაინახეთ პოზიტივი და ნეგატივს ჩვენ მივხედავთ, გამოვასწორებთ.

21. გისურვებთ ბევრ დადებით ემოციას და ნაკრების წარმატებულ თამაშს, ბევრ მოგებას და პროფესიულ წინსვლას. იმედი მაქვს, ჩვენი საუბარი სლოვენიაში გაგრძელდება.

იგორ კოკოშკოვი ძალიან კარგი პერსონაა. რაღაც თვალსაზრისით, ჩვენთვის ზედმეტად კარგიც. ზედმეტად მოწესრიგებული და არაქართველი. აი, აქ უკვე ვიჭედებით. მოწესრიგებულ არაქართველებთან საუბარი სტანდარტული ქართველისთვის ცოტა ძნელია.

ალბათ, ძნელია, რომ ჟურნალისტმა ბრიფინგზე მობილური ტელეფონი უნდა გამორთოს.

ალბათ, ძალიან ძნელია, რომ მთავარი მწვრთნელის საუბრის დროს ჟურნალისტმა ვიღაცას არ დაუყვიროს, "მაიცა რა, შე ჩემა, ხო გითხარი ტო, არ მცალია-მეთქი?!"

ძნელია ბრიფინგზე მომზადებული მისვლა.

ძნელი და უხერხულია, თუ ინგლისური არ გესმის და როდესაც კოკოშკოვის ასისტენტი, კოტე ტუღუში, იგორის პასუხის თარგმნას იწყებს, კი, კი, გავიგეთ, შემდეგი კითხვაო, ამბობ. და შემდეგი კითხვა წინა კითხვის პასუხია.

ძალიან ძნელია ბრიფინგის ორგანიზატორისთვის, როდესაც მწვრთნელის საუბრის დროს ერთბაშად სამი მობილური რეკავს.

ალბათ, ძნელი და არაქართულია წაგების შემდეგ მწვრთნელს წინა სამი მოგებისთვის მადლობა გადაუხადო. რა პონტში უნდა გადავუხადოთ რო? ხო წააგო და?.. ძნელია.

კოკოშკოვის ინტელექტი ფაცაციას ჩაგდებულ სამიანში, მეტრეველის 6 მოხსნაში, ლეჟავას ლამაზ პასში, შერმადინის დაუღლელად დაღლაში და ნაკრების პოტენციალის იდეალურად გამოყენებაში ჩანს.

იგორმა არ აიღო რამდენიმე წუთშესვენება და ეს მისი საქმეა. არ უნდოდა, არ ჩათვალა საჭიროდ და არ აიღო. ამის გაგებაც ძნელია, ხო?

წუთშესვენება ჩვენც ავიღოთ. ზედმეტი და ზედმეტად ქართული კითხვებისგან.

კომპლიმენტები ნაკრებს. რუმინეთთან მოგებამდე დავისვენოთ. ჩვენც დაღლილები ვართ.

EURO 2013

სტატისტიკის ლიდერები

ქულა

1. ჩარლზ დევისი (აზერბაიჯანი) 27.0
2. მირზა ტელეტოვიჩი (ბოსნია) 26.3
3. პეტერი კოპონენი (ფინეთი) 22.8
4. ანტონ გაველი (სლოვაკეთი) 22.2
5. ჯორდან ჟერებკო (შვეიცარია) 20.0
5. ნიჰად დედოვიჩი (ბოსნია) 20.0
7. ადამ ჰანგა (უნგრეთი) 19.8
8. იონ სტეფანსონი (ისლანდია) 19.6
9. ზაზა ფაჩულია (საქართველო) 19.0
10. ჰენკ ნორელი (ჰოლანდია) 18.0
10. რაშიდ მაჰალბაჟიჩი (ავსტრია) 18.0
12. ომრი კასპი (ისრაელი) 17.8
13. ვლად მოლდოვეანუ (რუმინეთი) 17.3
14. ბოიან ბოგდანოვიჩი (ხორვატია) 16.8
15. მანუჩარ მარკოიშვილი (საქართველო) 16.3
16. კრისტიან კანგური (ესტონეთი) 16.2
16. სუად სეჰოვიჩი (მონტენეგრო) 16.2
18. მარჩინ გორტატი (პოლონეთი) 16.0
18. დევიდ იანსენი (ჰოლანდია) 16.0
18. ჯეიკობ პულენი (საქართველო) 16.0

მოხსნა

1. ორჰან ჰაჩიევა (აზერბაიჯანი) 10.3
2. მარჩინ გორტატი (პოლონეთი) 9.8
3. ენტონი კინგი (კვიპროსი) 8.8
4. ვიქტორ სანიკიძე (საქართველო) 8.7
5. ზაზა ფაჩულია (საქართველო) 8.3
5. ზაკარი რაითი (ბოსნია) 8.3
7. ჰლინურ ბაერინგსონი (ისლანდია) 8.2
8. დანილო გალინარი (იტალია) 8.0
9. ვლად მოლდოვეანუ (რუმინეთი) 7.8
9. ტიბორ პლაისი (გერმანია) 7.8
17. თორნიკე შენგელია (საქართველო) 7.3

პასი

1. ზაკარი რაითი (ბოსნია) 8.0
2. ტომაშ სატორანსკი (ჩეხეთი) 7.0
3. სტენ სოკი (ესტონეთი) 6.2
4. კენი გრანტი (შვედეთი) 6.0
5. ალექსანდრ კუდრიავცევი (ბელარუსი) 5.8
6. ანტონ გაველი (სლოვაკეთი) 5.4
7. ლუკაშ კოშარეკი (პოლონეთი) 5.3
8. მილოშ ტეოდოშიჩი (სერბეთი) 5.0
8. ჰაიკო შაფარტსიკი (გერმანია) 5.0
8. სტენ ვან როსომი (ჰოლანდია) 5.0
8. პეტერი კოპონენი (ფინეთი) 5.0
8. ემირ პრელდჟიჩი (თურქეთი) 5.0
13. გიორგი ცინცაძე (საქართველო) 4.8

ჩაჭრა

1. მანუჩარ მარკოიშვილი (საქართველო) 4.0
2. იანის შტრელნიექსი (ლატვია) 3.0
2. ჟოაო სანტოში (პორტუგალია) 3.0
4. ადამ ჰანგა (უნგრეთი) 2.8
5. გიორგი ცინცაძე (საქართველო) 2.5
5. კრისტოფერ რაზისი (კვიპროსი) 2.5
7. ჩარლზ დევისი (აზერბაიჯანი) 2.3
7. პეტერი კოპონენი (ფინეთი) 2.3
7. ტუუკა კოტი (ფინეთი) 2.3
10. ჟაიმე სილვა (პორტუგალია) 2.0
10. გერტი შმა (ალბანეთი) 2.0
10. რაშიმ ბაშაქი (აზერბაიჯანი) 2.0
10. კრისტოფერ ჯოუნსი (ლუქსემბურგი) 2.0
10. დარდან ბერიშა (პოლონეთი) 2.0

დაფარება

1. ვიაჩესლავ კრავცოვი (უკრაინა) 3.3
2. მარჩინ გორტატი (პოლონეთი) 2.3
3. მარკუს კაზენი (იტალია) 2.0
3. სემიჰ ერდენი (თურქეთი) 2.0
5. ლიორ ელიაჰუ (ისრაელი) 1.8
5. კასპარს ბერზინსი (ლატვია) 1.8
7. ალექსანდრ ტაიუსი (ისრაელი) 1.6
7. ნიკოლაი ვარბანოვი (ბულგარეთი) 1.6
7. იოაკიმ შელბომი (შვედეთი) 1.5
7. არტიომ პარახუსკი (ბელარუსი) 1.5
7. გიორგი შერმადინი (საქართველო) 1.5
20. თორნიკე შენგელია (საქართველო) 1.0

ტელეტოვიჩი ქულებში მეორეა

მესი VS რონალდუ

ვასილ უდუმაშვილი

2011-12 წლების საფეხბურთო სეზონი ბევრისთვის ლიონელ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს დაპირისპირების სეზონად იქცა. დაიწყო 2012-13 წლების სეზონი და ისევ ალაპარაკდნენ ამ ორი სუპერფეხბურთელის დუელზე. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რონალდუსა და მესის ახალი დაპირისპირება უფრო საინტერესოცაა, ვიდრე გასული სეზონის.

ამ შერკინებამ რამდენიმე კითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი.

რომელი მათგანი გაიტანს მეტ გოლს.

მოახერხებს თუ არა რონალდუ მესისთვის "ოქროს ბურთის" წართმევას ("ოქროს ბურთი" გასული სეზონის შედეგებიდან გამომდინარე გადაეცემა ფეხბურთელს, მაგრამ თავად ჯილდო ხომ ამ სეზონში გათამაშდება).

შეძლებს თუ არა "რეალი" ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის დაცვას, თუ "ბარსელონა" დაიბრუნებს ჩემპიონობას (ესეც ხომ ამ ორი გენიალური ფეხბურთელის დაპირისპირებაზეა დამოკიდებული).

რონალდუ-მესის დუელიდან გამომდინარე, გავაკეთოთ მოვლენათა განვითარების ხუთი პროგნოზი.

50 გოლს ორივე გაიტანს

ვერავინ იტყვის, რომ ეს ზედმეტად თამამი პროგნოზია. რონალდუც და მესიც შეძლებენ 50-გოლიანი ბარიერის გადალახვას (იგულისხმება ყველა ის ტურნირი, რომელშიც ფეხბურთელები ითამაშებენ). გასულ სეზონში მესიმ 73 გოლი გაიტანა, რონალდუმ - 60. რა უნდა მოხდეს ახლა, რომ 50-ზე ნაკლები გაიტანონ. "ბარსელონას" და "რეალს" საკმარისზე მეტი თამაში აქვთ. ასე რომ, ეს ორი გოლეადორი თავს არ შეირცხვენს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორივე ესპანური გრანდი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია.

მესი ისევ მოიგებს პიჩიჩის ტიტულს

ესპანური გაზეთი "მარკა" პრიმერას საუკეთესო ბომბარდირს ყოველწლიურად გადასცემს პიჩიჩის ტიტულს. გასული სეზონის შედეგებით ეს ჯილდო მესიმ მოიგო და, სავარაუდოდ, არგენტინელი პიჩიჩის წოდებას შეინარჩუნებს.

საქმე ის არის, რომ მესი "ბარსაში" ისეთ პოზიციაზე თამაშობს, თავისთავად უფრო მეტი გოლი უნდა გაიტანოს, ვიდრე რონალდუმ. სეზონის დასაწყისი ამის ნათელი დასტურია. ესპანური პრიმერას ორ ტურში მესიმ უკვე ოთხი გოლი გაიტანა.

"ბარსა" ჩემპიონის ტიტულს დაიბრუნებს

გასულ სეზონში "რეალმა" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "რეალმა" სწორედ "ბარსას" აჯობა. პეპ გვარდიოლას უკანასკნელი სეზონი კატალონიურ გრანდში წარუმატებელი გამოდგა. მხოლოდ ესპანეთის თასის მოგება "ბარსასთვის" ძალიან ცოტაა.

გასულ სეზონში ჟოზე მოურინიოს "რეალმა" არაერთი რეკორდი დაამხო, მაგრამ შეძლებს კი "სამეფო კლუბი" შედეგის გამეორებას? საეჭვოა. საქმე ის არის, რომ, გასული სეზონისგან განსხვავებით, "ბარსელონაში" ცვლილებებია. გუნდის ორი ქრესტომათიული ლიდერი ჩავი და პუიოლი კვლავ ადგილზე იქნებიან. ამას დაუმატეთ საოცარ ფორმაში მყოფი ანდრეს ინიესტა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე საუცხოო ფეხბურთი აჩვენა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ბარსას" დაუბრუნდა დავიდ ვილია, რომელმაც გასული სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა. და კიდევ ერთი ფაქტორი. ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ბარსელონამ" ხორდი ალბა და ალექს სონგი შეიძინა, "რეალი" კი მხოლოდ ლუკა მოდრიჩით გაძლიერდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ "სამეფო კლუბში" მესუთ იოზილი თამაშობს, მოდრიჩი, დიდი ალბათობით, სათადარიგოთა სკამის ბინადარი იქნება.

მესი და რონალდუ

ასე რომ, მიმდინარე სეზონის მთავარი ფავორიტი, წესით, "ბარსელონა" უნდა იყოს.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსა" და "რეალი" ითამაშებენ

გასულ სეზონში ევროპულ ასპარეზზე ორივე გუნდი ჩავარდა. ესპანური გრანდები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე მივიდნენ, ფინალში გასვლა კი ვეღარ შეძლეს. გასულ სეზონში ყველა მოუთმენლად ელოდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში "სუპერკლასიკოს", მაგრამ "ბარსამ" და "რეალმა" იმედი გაგვიცრუეს.

მოხდება თუ არა ეს ამჯერად?

რატომაც არა. ისევე როგორც გასულ სეზონში, "ბარსელონას" და "რეალს"

ევროპულ გრანდებს შორის ყველაზე კარგი შემადგენლობა ჰყავთ. "ბარსელონა" და "რეალი" მსოფლიოს საუკეთესო ორ კლუბად ითვლება. შესაძლოა, ორივე კლუბისთვის მთავარი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა იყოს. "რეალისთვის" პრიორიტეტი მართლაც ჩემპიონთა ლიგა იქნება. ლა ლიგას მოგების შემდეგ მოურინიო თავის შეგირდებს სწორედ ჩემპიონთა ლიგაზე დაგეშავს.

ცხადია, "რეალს" და "ბარსელონას" კონკურენტები ეყოლებათ. "ბაიერნი" არ დასუსტებულა, გაძლიერდა "მანჩესტერიც" - ამ გუნდმა ხომ რობინ ვან პერსი შეიძინა. ჩამოსაწერი არც ჩემპიონთა ლიგის ახლანდელი გამარჯვებული "ჩელსია". საფეხბურთო ავანსცენაზე ფრანგული პსჟ-ც გამოჩნდა. ამ გუნდს ფული საკმაოდ აქვს და ამბიციებიც მოეძალა. რა თქმა უნდა, ევროპული წარმატებისთვის იბრძოლებს "სიტიც". იტალიურ გუნდებზე საუბარი ძნელია. "მილანი" აშკარად დასუსტდა. გაძლიერებით მაინცდამაინც არც "ინტერი" გაძლიერებულია. შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაზე "იუვენტუსმა" გაისროლოს, თუმცა, "რეალი" და "ბარსელონა" სხვა განზომილებაში არიან. ეს ორი გუნდი მეტოქეებზე მაღლა დგას და თუ წილისყრამ ისინი ფინალამდე არ შეახვედრა ერთმანეთს, იქნებ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ნანატრი "კლასიკო" ვიხილოთ.

"ოქროს ბურთს" მოიგებს...

კრიშტიანუ რონალდუ. დიახ, ლიონელ მესიმ გასული სეზონი 73 გოლით დაასრულა და ყველა დროის საკლუბო რეკორდი დაამყარა, მაგრამ საკმარისია ეს "ოქროს ბურთის" მოსაგებად?

მესიმ "ბარსელონასთან" ერთად მხოლოდ ესპანეთის "სამეფო თასი" მოიგო. ეს კი დიდი არაფერი ტიტულია. შეიძლება ითქვას, რომ ლიონელმა სეზონი უტიტულოდ დაასრულა. ამ ვითარებაში მისთვის "ოქროს ბურთის" მიცემა ალბათ ზედმეტი იქნებოდა.

რაც შეეხება კრიშტიანუ რონალდუს, პორტუგალიელმა "რეალთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო. თანაც, სწორედ რონალდუ იყო ამ წარმატების სულისჩამდგმელი. რონალდუმ ევრო 2012-ზეც ნორმალურად ითამაშა, თუმცა, ნახევარფინალში მაინც დამარცხდა. პორტუგალიის ნაკრები ევრო 2012-ის ფინალში რომ გასულიყო, რონალდუს "ოქროს ბურთი" გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ...

თუ არჩევანი მხოლოდ რონალდუსა და მესის შორის კეთდება, მაშინ, მოგებული ტიტულებიდან გამომდინარე, "ოქროს ბურთი" აუცილებლად პორტუგალიელმა უნდა მიიოგოს, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის ბრძოლაში მხოლოდ ეს ორი ფეხბურთელი როდი მონაწილეობს. აქ სცენაზე გამოდის ანდრეს ინიესტა, რომელმაც ევროპის პირველობაზე ფურორი მოახდინა. მან ევრო 2012-ის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიგო და რატომ არ შეიძლება, რომ "ოქროს ბურთიც" მას გადაეცეს? ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთს მხოლოდ რონალდუ და მესი ხომ არ თამაშობენ! ინიესტა ევროპის ჩემპიონი გახდა. ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიგო აგრეთვე კასილასმა, რომელიც, შესაძლოა, ინიესტასა და ჩვენ მიერ ნახსენებ ორ გენისოზე ნაკლებად არ იმსახურებს ამ ჯილდოს.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge